ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოფიკო დეკანაძე

საქართველოში ადრეული ქორწინების მდგომარეობა და მისი გავლენა ჯანმრთელობაზე

სამაგისტრო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:

მაია კერესელიძე

MD, PHD

თბილისი, 2019

ანოტაცია

ადრეული ქორწინებების პრობლემის გადაჭრა კვლავ გამოწვევად რჩება, როგორც საქართველოსთვის, ასევე მსოფლიოსთვის. სამწუხაროა, თუმცა ფაქტია, რომ 21-ე საუკუნეშიც კი, ირღვევა ბავშვთა ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა: განათლების მიღება, არჩევანის თავისუფლება, განვითარების უფლება და ა.შ. ადრეული ქორწინება არის ძალადობის ფორმა, როდესაც თავად არასრულწლოვანი შესაძლოა ვერ აცნობიერებდეს მოსალოდნელ რისკებსა და საფრთხეებს, რასაც ქორწინებაზე თანხმობას მოჰყვება.

საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშში მიხედვით მას შემდეგ რაც საქართველოში აიკრძალა 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაცია, შემცირდა ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევათა რაოდენობა, თუმცა კვლავ მაღალია არასრულწლოვანი მშობლობის რაოდენობა და პრობლემად რჩება ადრეულ ასაკში ფაქტობრივი თანაცხოვრების, ქორწინების იძულების, ნიშნობის და მოტაცების ფაქტები.

ადრეულ ასაკში დაქორწინებული მოზარდის ჯანმრთელობა და სოციალური რისკები ძალზე მაღალია. ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონები სრულად არ არიან მომწიფებულნი სქესობრივი ცხოვრების, დედობის, აბორტისა და მოსალოდნელი ქალური დაავადებებისთვის, მათი ფიზიკური განვითარება ჯერ კიდევ მოზარდობის სტადიაშია. მოზარდობის ასაკში მიმდინარე ორსულობა და მშობიარობა გოგონას ჯანმრთელობას ზიანს აყენებს და ზრდის გართულებების წარმოშობის ალბათობას.

ნაშრომში, ადრეული ქორწინება, განხილულია როგორც გოგონათა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი სახე, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე. თემა ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ადრეული ქორწინების გლობალური და ეროვნული მდგომარეობა, მისი უარყოფითი შედეგები, გამომწვევი მიზეზები, სტატისტიკური მონაცემები, საქართველოში ჩატარებული კვლევები, მიმოხილულია ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, ადრეული ქორწინების პრევენციის გზები. ასევე, წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის

ფარგლებში ჩატარებული მცირე მასშტაბის კვლევის შედეგები, რომელიც შექმნის ზოგად წარმოდგენას, სტუდენტების ცოდნასა და დამოკიდებულების შესახებ.

კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების ცოდანა-დამოკიდებულებების, გავრცელებული ზოგადი შეხედულებების შეფასება ადრეულ ასაკში ქორწინების მიმართ. მათი ცოდნის შეფასება ადრეული ქორწინების ჯანმრთელობის გავლენაზე და საკანონმდებლო რეგულაციაზე. ასევე, ადრეული ქორწინების წარმოჩენა, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემა.

კვლევის ამოცანები :

- თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურული წყაროების შეკრება, სისტემატიზაცია, აღწერა, შედარება და ანალიზი.
- სტუდენტებში ადრეული ქორწინების თემის აქტუალობის განსაზღვრა.
- მცირე მასშტაბის რაოდენობრივი კვლევის ჩატარება,
- სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში მოძიებული ლიტერატურული წყაროებისა და ჩატარებული მცირე მასშტაბის კვლევის საფუძველზე დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

კვლევის სათაური:

სტუდენტების ცოდნა-დამოკიდებულება ადრეული ქორწინების მიმართ.

კვლევის მეთოდები:

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევისთვის გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები: ლიტერატურული წყაროების მოძიების, შეკრების, სისტემატიზაციის, აღწერის, რაოდენობრივი, შედარებისა და ანალიზის მეთოდები. შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპის დაცვით, პირველადი მონაცემები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამის SPSS 21 ვერსიით. კვლევის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოს უნივერსიტეტების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის,

რეზიდენტურის და დოქტურანტურის სტუდენტები, (რესპონდენტთა რაოდენობა განისაზღვრა სპეციალური ფორმულით, რომელიც მოცემულია ვებ-გვერდზე http://www.openepi.com/SampleSize/SSPropor.htm (სარწმუნოობა 95%) გამოიკითხა 203 რესპონდენტი, კითხვარი სრულად შეავსო 203-მა რესპონდენტმა.

ჰიპოთეზა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყების წინ დაკვირვების მეთოდის საფუძველზე გამოითქვა ვარაუდი,

- საქართველოს სტუდენტების უმრავლესობა ნაკლებად ინფორმირებულია ადრეული ქორწინების სამართლებრივი რეგულირების შესახებ.
- მათ უმრავლესობას მიიჩნია, რომ ადრეული ქორწინების მიზეზი გოგოს/ბიჭის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სქესობრივი კავშირის დამყარება და სოციალური სტიგმის თავიდან აცილებაა.
- სტუდენტების უმრავლესობა არატოლერანტურად არის განწყობილი არასრულწლოვანთა ქორწინების მიმართ.
- სტუდენტების გარეკვეული ნაწილი ვერ აცნობიერებს ადრეული ქორწინების მოსალოდნელ უარყოფით გავლენას არასრულწლოვანთა ჯანმრთელობაზე.

Early marriage in Georgia and its impact on health

Sopiko Dekanadze

სარჩევი:

შესავალი 6

თავი 1. ადრეული ქორწინება და საქართველო 9

1.1. ადრეული ქორწინების სტატისტიკა მსოფლიოში და საქართველოში 12

1.2. ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული კვლევები საქართველოში 16

1.3. ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები 30

თავი 2. ადრეული ქორწინების გავლენა ჯანმრთელობაზე 35

თავი 3. პრევენცია 40

თავი 4. მცირე მასშტაბის კვლევა 42

თავი 5. კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები 62

გამოყენებული ლიტერატურა 68

შემოკლებები და განმარტებები 71

დანართი #1. 72

დანართი #2. 73

შესავალი

ადრეული, ანუ ნაადრევი ქორწინება არის ოფიციალური, ან არაოფიციალური კავშირი ორი ადამიანისა, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც 18 წლის ასაკს მიუღწეველია, ანუ ბავშვია (გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989). ადრეული ქორწინება მიჩნეულ უნდა იქნას, ზოგადად - ადამიანის უფლებების და კერძოდ - ბავშვთა უფლებების დარღვევად, რადგან ითვლება, რომ ბავშვს არ შეუძლია მისცეს გააზრებული თანხმობა (გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2013, გვ. 1). ადრეულ ასაკში ქორწინება არღვევს ბავშვის ჯანმრთელობის, განათლების, თანასწორობის, ძალადობისა და ექსპლუატაციისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრების უფლებას. ეს უფლებები დაცულია გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით, ბავშვის უფლებათა კონვენციითა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით (საქართველოს სახალხო დამცველი, 2015, გვ. 2).

ადრეული ქორწინების მსხვერპლი შეიძლება იყოს არასრულწლოვანი როგორც გოგო, ასევე ბიჭი. თუმცა, ადრეული ქორწინება განსხვავებულ გავლენას ახდენს მათზე და მისი განხილვა გენდერული თვალსაზრისით არის შესაძლებელი. მსოფლიოში ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონების რაოდენობა ბევრად აღემატება ბიჭთა რაოდენობას (გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2013, გვ. 1).

გოგონები, რომლებიც 18 წლის ასაკამდე თხოვდებიან, ხშირ შემთხვევაში, აღარ აგრძელებენ სკოლაში სიარულს და წყვეტენ განათლებას. ისინი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან. ცნობილია, რომ არასრულწლოვან გოგონათათვის ორსულობა და მშობიარობა მრავალი რისკის შემცველია, გამომდინარე იქიდან, რომ მათი ორგანიზმი ხშირად არ არის მზად ასეთი დატვირთვისთვის, 15-19 წლამდე პირთა შორის მშობიარობის გამო გარდაცვალების შესაძლებლობა ორჯერ უფრო დიდია ვიდრე 19 წელს გადაცილებული პირებისათვის. რისკის ჯგუფს განეკუთვნება როგორც ორსული არასრულწლოვანი პირები, ასევე მათი ახალშობილი შვილები. კვლევების თანახმად ასეთ ახალშობილებს ხშირად ახასიათებთ წონის ნაკლებობა და სხვა ჯანმრთელობისთვის საშიში პრობლემები (საქართველოს სახალხო დამცველი, 2014, გვ. 686).

არაერთი კვლევის შედეგი აჩვენებს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების განმაპირობებელი მიზეზებია: სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირე, აღზრდის მკაცრი სტილი, იძულებით/გარიგებით ქორწინება, სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ინფორმაციის ნაკლებობა, ტრადიციული ფაქტორი, მომავლის არასწორი შეფასება, პერსპექტივების ნაკლებობა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2015, გვ. 2).

ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ არსებობს ტრეფიკინგის ისეთი ფორმებიც, რომელთაც პალერმოს პროტოკოლი [1] არ განსაზღვრავს. მაგალითად, ბავშვების ქორწინება. ამ სფეროს ცნობილი მკვლევარი ელისაბეთ ვორნერი ამბობს, რომ თუ კი ბავშვი გოგონას მისი მეუღლის ოჯახისათვის გადაცემა ხდება გათხოვებისას, ეს გარკვეულ წილად ჯდება პალერმოს პროტოკოლის მიერ მოცემულ საშუალებების განმარტებაში. ამდენად, თუ კი არსებობს იმის ალბათობა და ფაქტები, რომ ქორწინება შეიძლება ექსპლუატაციით გაგრძელდეს, საჭიროა რომ იმ ქვეყნებმა, რომლებმაც პალერმოს პროტოკოლის რატიფიცირება მოახდინეს, შესაბამისი პოლიტიკა და პროგრამები შეიმუშაონ ამ პრობლემის პრევენციისათვის[2] (2014).

ბავშვთა ქორწინება არ არის მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების პრობლემა. აშშ-ს ბევრ შტატში ქორწინების მინიმალური ასაკი არის 18 წელი. თუმცა, მისისიპში ქორწინება შესაძლებელია გოგონებისთვის 15 წლის ასაკში და ბიჭებისთვის 17 წლის ასაკში მშობლის თანხმობით. მასაჩუსეტსში კი გოგონებს 12 და ბიჭებს 14 წლის ასაკში შეუძლიათ მშობლების თანხმობით დაქორწინება.[3]

მთელ მსოფლიოში არასრულწლოვან ასაკში 700 მილიონზე მეტი ქალი დაქორწინდა. აქედან, 15 წელს მიუღწეველი დაახლოებით 250 მილიონი იყო. მსოფლიოს 1.1 მილიარდი გოგოდან 22 მილიონი უკვე გათხოვილია. ასობით მილიონი კი

---

[1] საქართველომ 2006 წლის 7 ივნისს მოახდინა რატიფიცირება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/331

[2] მასალა წარმოდგენილია ლექციაზე „სოციალური მუშაობის პრაქტიკა ტრეფიკინგის მსხვერპლებთან“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

[3] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://www.care.org/our-work/womens-empowerment/child-marriage/top-5-things-you-didnt-know-about-child-marriage

გათხოვების რისკის ქვეშ არიან და მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან ერთად მათი რაოდენობაც გაიზრდება (700 მილიონი 2050 წელს) (UNICEF, 2014, pp. 2-6).

პრობლემის გლობალურ მასშტაბზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ გაერომ ამ საკითხს წლიური ანგარიში მიუძღვნა, სახელწოდებით - „დედობა ბავშვობაში“. გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მონაცემების მიხედვით, 18 წელს მიუღწეველი დაახლოებით 14 მილიონი გოგო ქორწინდება ერთი წლის განმავლობაში, 38 000 ერთ დღეში, 13 გოგონა კი 30 წამში (საქართველოს სახალხო დამცველი, 2013, გვ. 17).

თავი 1. ადრეული ქორწინება და საქართველო

სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ნიშნობის პრაქტიკა კვლავ რჩება გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთ ყველაზე შემაშფოთებელ გამოვლინებად, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ქალთა და გოგონათა უფლებრივ მდგომარეობაზე“ (გვ. 146). ამავე ანგარიშის მიხედვით, საქართველოში კვლავ მაღალია არასრულწლოვანი მშობლობის რაოდენობა და პრობლემად რჩება თვრამეტ წლამდე პირთა ფაქტობრივი თანაცხოვრების, ქორწინების იძულების, ნიშნობის და მოტაცების ფაქტები.

საქართველოს რეგიონებში ადრეულ ქორწინებას ხშირად ამართლებენ ტრადიციებითა და დაუწერელი წესებით, რაც ამყარებს ამ მავნე პრაქტიკას (გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2013). საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ კახეთსა და აჭარაში მოტაცებები აღარ ხდება, თუმცა სამცხე–ჯავახეთში, კერძოდ, ახალქალაქში გოგოს მოტაცება კვლავ დამკვიდრებულ პრაქტიკად ითვლება. ქ. მარნეული დანიშვნის პრაქტიკით გამოირჩევა. ეს არის ტრადიციის ერთგვარი ფორმა, როდესაც ნიშნობას მშობლები წყვეტენ და ასე ხდება ოჯახისთვის და საზოგადოებისთვის გოგოს და ბიჭის ურთიერთობა ლეგალური. ზოგადად, საქართველოში სამწუხარო რეალობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ზოგჯერ მშობლები თავად ირჩევენ იმ ოჯახს ვის შვილზეც უნდა დააქორწინოს თავისი შვილი. არჩევა შვილების დაუკითხავად ხდება და შესაბამისად გადაწყვეტილებასაც მათგან დამოუკიდებლად ღებულობენ. არის შემთხვევები, როდესაც ნიშნობის რიტუალი წყვილის გარეშე ტარდება და ისინი პირველად სწორედ ქორწილში ხვდებიან ერთმანეთს. ეს ფაქტები ძირითადად აზერბაიჯანულ თემშია გავრცელებული. ქორწინების მთავარ მოტივი კი ოჯახის ფინანსური მდგომარეობაა (2016, გვ. 11).

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ ცვლილების [4] შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მეორე განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ საქართველოში იძულებითი ქორწინების მანკიერი პრაქტიკა კვლავ არსებობს. ხშირ

[4] ამ ცვლილების შესახებ ინფორმაცია უფრო ვრცლად იხილეთ ქვეთავში „ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები“.

შემთხვევაში არასრულწლოვანთა მშობლები არიან ადრეული ქორწინების ინიციატორები. მათ შორის ხდება გარიგება ფულის ან სხვა მატერიალური სიკეთის სანაცვლოდ. „ასევე არის შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანი გოგონების მოტაცების შემდეგ, მშობლები მათ უკან აღარ იღებენ, რითაც ფაქტობრივად შვილებს აიძულებენ თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ შექმნან ოჯახი არასასურველ პირთან. სკოლის მოსწავლე გოგონები ხშირად აღნიშნავენ, რომ თუ მათ მშობლები ძალით გაათხოვებენ, ისინი თავს მოიკლავენ“. ამ სამწუხარო ფაქტის მაგალითს წარმოადგენს 2014 წელს სოფელ ყარაჯალაში მომხდარი შემთხვევა, როდესაც გოგონამ არასასურველი ქორწინების თავიდან ასაცილებლად თავი მოიკლა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016, გვ. 2).

არასრულწლოვანი გოგონათა გათხოვება მატერიალური მოგების სანაცვლოდ საქართველოს ზოგიერთ რაიონში დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის კაბალის თემში ფიქსირდება გოგონათა გასხვისება შინაური ცხოველებისა და ფულის სანაცვლოდ. „... ერთი გოგოს მამამ 10 ძროხად მიჰყიდა 45 წლის კაცს, ამ გოგოს არ უნდოდა ამ კაცზე გათხოვება და სხვასთან ერთად გაიპარა სახლიდან“. აღსანიშნავია, რომ კაბალის თემში არ იციან ვის უნდა მიმართონ იმ შემთხვევაში თუ ბავშვის უფლებები დაირღვა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2013, გვ. 505).

საქართველოში 15-19 წლის დაქორწინებული გოგონების უმრავლესობა კონტრაცეპციებს არ იყენებს, რომლის მიზეზიც ინფორმაციის ნაკლებობაა. ქართულ სასწავლო პროგრამაში არ შედის ინფორმაცია რეპროდუქციულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ. მასწავლებლები თავს არიდებენ მსგავს საკითხებზე საუბარს. ხშირად ისინი „ამბობენ, რომ თავიანთი რელიგიური შეხედულებების გამო, ისინი მოსწავლეებს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ან კონტრაცეფციის საკითხებს არ ასწავლიან“. ზოგადად, სასწავლო გარემო პატრიარქალურია: სასწავლო მასალა გენდერულ უთანასწორობას წარმოადგენს და ქალის მიმართ არსებულ სტერეოტიპებს განამტკიცებს, არ ხდება გოგონების ხელშეწყობა, რათა დაკავდნენ სპორტით ან პროფესიად ტექნიკური მიმართულება აირჩიონ. ასევე, ტრადიციული ქართული ქალის გენდერული როლიდან გამომდინარე, მასწავლებლები დიდი

ყურადღებას უთმობენ ტრადიციული ფასეულობების სწავლებას (აბაშიძე & არგანაშვილი, 2015, გვ. 4 - 5).

ასევე, უნდა აღინიშნოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადრეულ ქორწინებაზე არასათანადო რეაგირების პრობლემაც. სააგენტოს უჭირს პრობლემის იდენტიფიცირება თუ სახეზე არ არის იძულებითი ქორწინება. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც მათ მიერ ქორწინება ფიქსირდება როგორც ნებაყოფლობითი ქორწინება წყვილს შორის და არ ხდება ბავშვის საკეთილდღეოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება. სოციალური მომსახურების სააგენტოს არასრულფასოვან მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 2015 წელს ადრეული ქორწინების 47 შემთხვევა იქნა შესწავლილი, რაც ძალიან ცოტაა, თუ სხვა წყაროების მონაცემებს შევადარებთ (საქართველოს სახალხო დამცველი, 2015, გვ. 1011).

მისასალმებელი ფაქტია, რომ „პანკისის ხეობაში ტრადიციული ისლამის მეჩეთის იმამები არასრულწლოვანთა ქორწინებას რელიგიურად აღარ გააფორმებენ. ამის შესახებ პანკისის სათემო რადიო WAY უხუცესთა კავშირის წევრზე ხასო ხანგოშვილზე დაყრდნობით იუწყება. პანკისის სათემო რადიოს ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება ტრადიციული ისლამის მეჩეთის იმამებმა რამდენიმე დღის წინ, პანკისის უხუცესთა კავშირის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე მიიღეს“ (კახეთის საინფორმაციო ცენტრი, 2016). ამ ეტაპისთვის არ მოიპოვება წერილობითი დოკუმენტი, სადაც დაფიქსირებული იქნებოდა სასულიერო პირების მოსაზრება, დამოკიდებულება, შეხედულება ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებით ან თუნდაც კითხულობენ თუ არა სასულიერო პირები „რამდენი წლის არის პატარძალი?“ და თუ კითხულობენ, როგორ იქცევიან თუ პასუხი საქართველოს კანონმდებლობას ადრეულ ქორწინების ასაკთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება.

1.1. ადრეული ქორწინების სტატისტიკა მსოფლიოში და საქართველოში

როგორც უკვე აღინიშნა, ადრეული ქორწინება მთელი მსოფლიოს მასშტაბით არის გავრცელებული. Girls not brides[5]-ის 2018 წლის ოფიციალური მონაცემებით 18 წლამდე ბავშვების ქორწინება ყველაზე მეტად გავრცელებულია აფრიკის და აზიის კონტინენტზე. ევროპაში არასრულწლოვანთა ქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თურქეთში ფიქსირდება (15%) (ცხრილი #1), შემდგომ მოდის საქართველო (14%) და მოლდოვა (12%). კავკასიის რეგიონში კი საქართველო ლიდერობს (ცხრილი #2).





წყარო: Girls not brides (2019 წელი)

მიუხედავად დასახელებული მაჩვენებლისა, საქართველოში ადრეული ქორწინების ზუსტი სტატისტიკა არ არსებოს. თუმცა, სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია მიახლოებით ციფრზე საუბარი. რა თქმა უნდა, რაოდენობა

[5] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.girlsnotbrides.org/where-does-it-happen/atlas/#/

მიახლოებითია, რადგან ხშირად არ ხდება ქორწინების რეგისტრაცია და სინამდვილეში ციფრები იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე მონაცემებშია ასახული. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016, გვ. 4).

საქსტატის[6] მონაცემების თანახმად დაქორწინებული 16-19 წლის თინეიჯერების რიცხვი 2002 წლიდან 2009 წლამდე გასამმაგდა, 2010-2015 წლებში მონაცემები მცირედით შემცირდა. 2016 წელს 3003, ხოლო 2017 წელს 2599, 2018 წელს 2380 რეგისტრირებული ქორწინება დაფიქსირდა (ცხრილი #3). ყველაზე მეტმა თინეიჯერმა 2009 წელს იქორწინა: 1271 ბიჭი და 5596 გოგონა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2019 წელი)

ადრეულ ქორწინებაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში, რომლის თანახმად, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე 7367-მა გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება საბაზო საფეხურის დასრულებამდე (7-9 კლასები), რომლის ძირითადი მიზეზი, სწორედ ადრეული ქორწინებაა. საშუალო განათლების შეწყვეტის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ქვემო ქართლის რეგიონში (გვ. 504).

[6]ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=166&lang=geo

საქართველოს სახალხო დამცველმა 2016 წელს გამოაქვეყნა პირველი სპეციალური ანგარიში სახელწოდებით „ადრეულ ასაკში ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები“. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2015 წელს ოფიციალურად 611 არასრულწლოვანი დაქორწინდა (ცხრილი #4). მათ შორის 95% გოგო იყო. ყველაზე ბევრი არასრულწლოვანი მშობელი ფიქსირდება თბილისში (393), შემდეგ მოდის იმერეთი (234), კახეთი (192) და ქვემო ქართლი (189). ქორწინების მიზნით სწავლა 13-დან 17 წლამდე 408 ბავშვმა შეწყვიტა, ხოლო 18 წელს მიღწეულმა - 168 ბავშვმა. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების შესასწავლი საქმეების მაღალი რაოდენობა კახეთში ფიქსირდება - 13, შიდა ქართლში, სამცხე- ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში - 6, ქვემო ქართლში, იმერეთსა და აჭარაში - 4, თბილისში - 3, ხოლო გურიაში - 1 შემთხვევა.



წყარო: საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016 წელი

„აღსანიშნავია, რომ სავარაუდოდ, ეს მონაცემები ზუსტი არ არის, ვინაიდან ქვემო ქართლის მუნიციპალურ ერთეულებში ჩატარებული შეხვედრების დროს, სკოლის პედაგოგები და დირექტორები არ იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ აუცილებელია ბავშვთა სკოლის მიტოვების მიზეზების შესახებ სტატისტიკის წარმოება და შესაბამისი შეტყობინების გაკეთება. თუმცა კი, შეხვედრაზე დამსწრეთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ მათ სოფლებში თითქმის არც ერთი გოგონა არ ამთავრებს სკოლას სწორედ იმიტომ, რომ ქორწინდება. ეს გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ აღრიცხვიანობის სისტემის საბოლოო დანერგვის შემდეგ, მონაცემები

შესაძლოა კიდევ გაიზარდოს“ - ნათქვამია სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში (2016, გვ. 7).

ამავე ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის შემთხვევაში რეაგირება გაზრდილია. 2014 წელთან შედარებით 2015 წელს 74%-ით გაიზარდა სისხლის სამართლებრივი დევნის მაჩვენებელი. 2014 წელს სისხლის სამართლებრივი დევნა 33 პირის მიმართ დაიწყო, ხოლო 2015 წელს – 129 პირის მიმართ. ასევე, გაიზარდა ქორწინების მიზნით მოტაცებაზე რეაგირება. 82%-ით გაზრდილია დევნის მაჩვენებელი, რომელიც 2014 წელს 11 იყო, ხოლო 2015 წელს 60–ს მიაღწია (გვ. 8).

სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული ინფორმაციით ადრეულ ასაკში ქორწინების ოფიციალური მონაცემები (ცხრილი #5) შემდეგნაირია:



წყარო: საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017 წელი

რაც შეეხება არასრულწლოვან მშობელთა რაოდენობას 2017 წელს 835 არასრულწლოვანი მშობელი დაფიქსირდა. 2018 წელს მონაცემები შემცირდა (715 არასრულწლოვანი დედა და 23 არასრულწლოვანი მამა), თუმცა ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მაინც მაღალ მაჩვენებლად ითვლება (საქართველოს სახალხო დამცველი, 2018, გვ. 137).

1.2. ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული კვლევები საქართველოში

„საქართველოში ადრეული ქორწინების მიზეზების, მასშტაბებისა და შედეგების შესასწავლად სიღრმისეული კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. ამის მიზეზები შეიძლება იყოს დიდი ხნის განმავლობაში ამ პრობლემის უხილავობა და ასევე, სტატისტიკური მონაცემების სიმწირე“ (გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2013, გვ. 5).

2013 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA) საქართველოში ჩაატარა კვლევა „ადრეული ქორწინება“. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა ლიტერატურისა და იურიდიული დოკუმენტების მიმოხილვას, აგრეთვე, ადრეულ ქორწინებაში მყოფ ქალებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან ინტერვიუებსა და ფოკუს-ჯგუფებს.

გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით ადრეული ქორწინების გამომწვევ მიზეზებად დასახელდა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების არასათანადო ინტეგრაცია საზოგადოებაში, სიღარიბე და დაბალი სოციალური სტატუსი. ერთგვარ გამოსავალს გოგონებისთვის გათხოვება წარმოადგენს. ასევე, შესაძლოა გოგონებს მიაჩნდეთ, რომ გათხოვებით თავს დააღწევენ ოჯახში არსებულ კონფლიქტს და ცუდ პირობებს.

კვლევაში ნათქვამია, რომ განათლების შეწყვეტა დაკავშირებულია ადრეულ ქორწინებასთან. ზოგიერთ რეგიონში ქალის განათლება და საზოგადოებრივი როლი დაკნინებულია. გოგონები (განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან) ტოვებენ სკოლას და მათთვის ქორწინება ერთადერთი არჩევანი ხდება. შესაძლოა, გოგონებმა ქორწინებამდეც, დანიშვნის შემდეგ, მიატოვონ სკოლა. რის შემდეგაც, მხოლოდ მომავალი ქმრის „ნებართვით“ შეუძლიათ სწავლის გაგრძელება.

„გოგო რომ დაიბადება ოჯახში, სულ უმეორებენ: შენ უნდა გათხოვდე, ისწავლე საჭმლის კეთება, დაგვა, ჭურჭლის რეცხვა; და არავინ ეუბნება, რომ დაწეროს ან წიგნი წაიკითხოს“. (ნაადრევ ქორწინებაში მყოფი ქალი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი)

ამავე კვლევის მიხედვით, ადრეული ქორწინება მაღალია გარკვეულ რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებში. მაგალითად, ქვემო ქართლის ეთნიკურ უმცირესობასა და მაღალმთიანი აჭარის რელიგიურ უმცირესობებში. ასევე, აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გოგოებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია სამედიცინო მომსახურება, რომლის მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, ენის ბარიერი.

„თანაც ის ფაქტორი იყო, რომ ოჯახშიც ასეთი (დაძაბული) სიტუაცია მქონდა; აი, ახლა მაინც, ამასთანაც ვაკავშირებ. ალბათ, ისიც იყო, რომ გავექეცი ამ პრობლემას. იმდენად ჩავიკეტე ამ ჩემს ახალ ოჯახში, გარეთ გამოსვლაც აღარ მინდოდა“ (ნაადრევ ქორწინებაში მყოფი ქალი).

ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ როდესაც საქმე ეხება ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებში ადრეული ქორწინების შემთხვევას „ტრადიციების პატივისცემის“ მოტივით, არ ხდება სახელმწიფოს მხრიდან მათ წეს-ჩვეულებებში ჩარევა.

ამავე კვლევაში მოცემულია რეპროდუქციული ჯანმრთელობის 2010 წლის კვლევის შედეგები,[7] რომლის თანახმადაც „ტრადიციული ნორმების ძლიერი გავლენა და ქორწინებამდე სქესობრივი თავშეკავება ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოში“. ე.წ. „ქალიშვილობის ინსტიტუტი“ არ უტოვებს წყვილებს ალტერნატივას გარდა ქორწინებისა. სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ნაკლები ინფორმაცია ზრდის გოგონების დაორსულების ალბათობას. ამ შემთხვევაში, ისინი იძულებული ხდებიან დაქორწინდნენ, რათა თავიდან აირიდონ საზოგადოების მხრიდან გაკიცხვა და „დააკანონონ“ მათი ორსულობა.

კვლევის რესპონდენტები ნანობენ ადრეულ ქორწინებას. განსაკუთრებით აწუხებდათ ის ფაქტი, რომ ამის გამო ვერ მოახერხეს სრულფასოვანი განათლების მიღება და კარიერის განვითარება. ისინი „ქორწინების დასაწყისში ქმრის მშობლებთან ერთად ცხოვრობდნენ. ზოგი მათგანი, დედამთილის მხრიდან ზეწოლის მსხვერპლი გახდა, მაგრამ მოახერხა, ქმართან ერთად ცალკე გადასულიყო საცხოვრებლად. ერთადერთი

[7] ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2010: საბოლოო ანგარიში, 2012. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://www.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=aaf38125-19ac-459b-9bc7-ca05743f3a9f

დადებითი, რასაც რესპონდენტები ნაადრევ ქორწინებაში ხედავენ, არიან მათი შვილები. ისინი აღნიშნავენ, რომ მხოლოდ შვილები სძენენ მათ ცხოვრებას აზრს“ - ნათქვამია გაეროს მოსახლეობის ფონდის კვლევაში.

ორგანიზაცია „ჰერა XXI” 2014 წელს გამოსცა კვლევის ანგარიში სახელწოდებით „ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზები“. კვლევა ჩატარდა ახალციხის რაიონში, კვლევა მოიცავს ფოკუს-ჯგუფებს 85 რესპონდენტთან: მშობლები/მასწავლებლები 29, ადრეულ ასაკში დაოჯახებულნი 19, ახალგაზრდა დაუოჯახებელი გოგონები 20. გარდა ფოკუს-ჯგუფებისა, ჩატარდა ინტერვიუ ერთ ფსიქოლოგთან, ერთ გინეკოლოგთან. ასევე, ჩატარდა ქუჩის გამოკითხვაც (15 რესპონდენტი) (წულეისკირი & ჯობავა, 2014, გვ. 4).

კვლევის მიხედვით ადრეული ქორწინების მიზეზებია:

1. ქორწინება პირადი სურვილით -
    - სქესობრივი კავშირის დამყარებისა და სოციალური სტიგმის თავიდან აცილების მიზნით;
    - ეკონომიკური მგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;
    - მიმბაძველობით.
2. იძულებით ქორწინება -
    - ეკონომიკური ტვირთისგან გათავისუფლების მიზნით;
    - ტრადიციებიდან გამომდინარე.

რესპონდენტთა 70% ადრეული ქორწინების გამომწვევ მთავარ პრობლემად ქორწინებამდე სქესობრივი პარტნიორის ყოლის გამო საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების თავიდან არიდებას ასახელებს. მათი აზრით, ქართული ტრადიციები და მენტალიტეტი არასრულწლოვნებზე გავლენას ახდენს. ისინი ქორწინებას „დამცავ ფარად“ იყენებენ და ცდილობენ პარტნიორთან სქესობრივი კავშირის დამყარების სურვილი ქორწინებით დაიკმაყოფილონ. კვლევის ავტორთა თქმით, ქორწინების მოტივი შესაძლოა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება იყოს. რა თქმა უნდა, ამ მოტივს რესპონდენტები მალავენ. ადრეულ ასაკში დაოჯახებულ რესპონდენტთა 70% მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა. მათი ოჯახების შემოსავლის წყარო ძირითადად სოფლის მეურნეობაა. მეუღლეებს კი შედარებით უკეთესი

ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ. ასევე, ადრეული ქორწინების გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა თანატოლთა მიბაძვა. „ფაქტია, რომ არასრულწლოვანთა ქორწინება უარყოფით გავლენას ახდენს სხვა ბავშვებზე და თითოეული შემთხვევა ქმნის ადრეული ქორწინების რიცხვის ზრდის საფრთხეს“. ფსიქოლოგის თქმით, გარდატეხის ასაკში მყოფ მოზარდებს გამძაფრებულად იზიდავთ სიახლე და ცდილობენ მიბაძონ ერთმანეთს. ახალციხის სკოლის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ქორწინება, ხშირად თანატოლთა მიმბაძველობით ხდება.

რაც შეეხება ადრეული ქორწინებას იძულების გზით, კვლევის ავტორების თქმით, ბავშვებს საკუთარი ნების წინააღმდეგ შერჩეულ პარტნიორზე აქორწინებენ. „განსხვავებულია მიზეზები და განსხვავებულია იძულების ფორმები“. კვლევის ანალიზის მიხედვით, გამოკითხულ რესპონდენტთა 80% ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას იძულებად არ მიიჩნევს.

„მე თავად ვიყავი ინიციატორი ჩემი 17 წლის შვილის გათხოვების, იგი რამოდენიმეჯერ მანქანაში ჩაუჯდა ბიჭს რომელსაც მოსწონდა და სოფელში რას იტყოდნენ?! არ უნდოდა გათხოვება, მაგრამ არჩევანის წინაშე დავაყენე“. (მშობელი 35 წლის)

აქვე უნდა აღინიშნოს მშობელთა ე.წ. „სარფიანი გარიგებების“ შედეგად არასრულწლოვანთა ქორწინება. რესპონდენტთა აზრით, ძირითადად ასეთ მშობელთა კატეგორიას წარმოადგენს პერიფერიულ ადგილებში მცხოვრები მძიმე ეკონომიკური პირობებში მყოფი მშობლები. ისინი ცდილობენ „ეკონომიკური ტვირთისაგან“ გათავისუფლებას და არასრულწლოვანებს იძულებით ათხოვებენ. კითხვაზე „მრავალშვილიანი ოჯახის შემთხვევაში, როდესაც მშობლებს არ აქვს სახსრები სათანადო საცხოვრებელი პირობები შეუქმნან თავიანთ შვილებს, რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ მათი ინიციატივით არასრულწლოვანის გათხოვება შემლებულ „კარგ კანდიდატზე“? აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 60% ბავშვის თანხმობის შემთხვევაში გამართლებულად თვლის. მსგავს კითხვაზე, არასრულწლოვანი დაუოჯახებელი ბავშვების ჯგუფმა გაუმართლებლად მიიჩნია დაოჯახება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, ფსიქოლოგის თქმით, ქორწინებაზე არასრულწლოვანის

თანხმობა მისი მშობელზე ფსიქოლოგიური დამოკიდებულებით არის განპირობებული. ძირითადად, მათი თანხმობა გაუაზრებელია და მშობლის შეთავაზება ფსიქოლოგიურ ზეწოლად შეიძლება ჩაითვალოს.

კვლევის მიხედვით, აკვნიდან დანიშვნის ტრადიცია კვლავ გრძელდება პერიფერიულ ადგილებში, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში.

„სოფელში 15 წლის გოგონას, რომელიც აკვნიდან დანიშნული იყო შეუყვარდა თანაკლასელი ბიჭი. არასასურველი ქორწინების თავიდან აცილების მიზნით იგი სახლიდან გაიქცა. მშობლებმა არასრულწლოვანი ბებიასთან დამალული იპოვეს და იძულებით გაათხოვეს“. (თამარი 16 წლის)

„პრობლემის აქტუალურობას განაპირობებს ტრადიციებისა და კანონს შორის არსებული კონფლიქტი, რაც გამოხატულია იმით, რომ უფლებადამცველი ორგანოები თავს არიდებენ ოჯახურ კონფლიქტში უშუალო ჩარევას. მათ არ სურთ დაუპირისპირდნენ ტრადიციებს და „დაანგრიონ ოჯახი“. ისინი ვერ იცავენ ბავშვების ისეთ მანკიერი ტრადიციებისგან, როგორიცაა მაგალითად ზემოთ ხსენებული და თავიანთი უმოქმედობით ხელს უწყობენ ბავშვთა მთელი რიგი ფუნდამენტური უფლებების დარღვევას“ - ნათქვამია კვლევაში.

მნიშვნელოვანია, რომ ადრეულ ასაკში დაოჯახებული რესპონდენტების 90%-ის თქმით, საკუთარი სურვილით/სიყვარულით დაოჯახდნენ და არ ნანობენ ამას. თუმცა, სრული უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი შვილის ადრეულ ასაკში დაქორწინებას არ ისურვებდნენ და ყველანაირად ხელს შეუშლიდნენ შვილის მსგავს გადაწყვეტილებას. ეს ფაქტი, კვლევის ავტორებს თქმით, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ რესპონდენტები არ ამბობენ მათი ადრეულ ასაკში დაქორწინების მთავარ მოტივს.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა გინეკოლოგმა აღნიშნა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც დედამთილი იჩენს ინიციატივას მიიყვანოს არასრულწლოვანი გოგონა გინეკოლოგთან. ვიზიტის ძირითადი და ხშირი მოტივი დაორსულებასთან დაკავშირებული კონსულტაციაა. მიზანი კი ერთადერთია „გააჩინონ შვილი რაც შეიძლება მალე და გაამართლონ ოჯახის მოლოდინები“. არასრულწლოვანთა

დაორსულება კი ხშირად საფრხეს უქმნის როგორც დედას, ასევე ნაყოფს, ვინაიდან მათი ორგანიზმი მზად არ არის მშობიარობისთვის, ორსულობას და ბავშვის გაჩენას შესაძლოა გართულებები მოჰყვეს.

კვლევაში ასევე აღინიშნა საქართველოს კანონმდებლობის აღსრულების, არასრულწლოვანთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის, კონტრაცეპციებზე ხელმისაწვდომობის არ არსებობის, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ოჯახის დაგეგმვაზე ინფორმაციის ნაკლებობა/არ არსებობის, საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების, ადრეული ქორწინებაში მყოფ პირთა განათლების მიღების პრობლემები.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2016 წელს გამოაქვეყნა სპეციალურ ანგარიში სახელწოდებით „ადრეულ ასაკში ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები“. ანგარიშში წარმოდგენილია გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ, ადრეული ქორწინების სიღრმისეული შესწავლის მიზნით, 2015-2016 წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული საინფორმაციო და ფოკუს-ჯგუფის შეხვედრების ანალიზი. შეხვედრები გაიმართა სამცხე–ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონებში, ასევე აჭარის ა/რ მაღალმთიან სოფლებში. სულ ჩატარდა 30 შეხვედრა, 22 ქალაქსა და სოფელში, 750 პირის მონაწილეობით. შეხვედრას ესწრებოდნენ პედაგოგები, მოსწავლეები და სხვა სერვისების მომწოდებელი სტრუქტურების წარმომადგენლები.

ანგარიშის მიხედვით, „მოსახლეობას და მათ შორის ბავშვებს, არ აქვთ სათანადო ინფორმაცია იძულებითი ქორწინების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შესახებ. დღემდე მოქმედებს პრინციპი – „ოჯახის საქმე“, რომელში ჩარევასაც სხვადასხვა დაინტერესებული პირები თავს არიდებენ. პასუხისმგებლობას არ გრძნობენ პედაგოგებიც, რომლებიც ფაქტის შეტყობის შედეგად, არ მოქმედებენ კანონით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად. მეტიც, შეხვედრაზე დამსწრე მასწავლებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არც კი იცოდა ასეთი ვალდებულებების არსებობის შესახებ. ასევე, მოქმედებს გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც

გოგონების უთანასწორო მდგომარეობაში ჩაყენებით ახალისებს ადრეული ქორწინების პრაქტიკას“ (გვ. 10).

ამავე ანგარიშში ნათქვამია, რომ მოსახლეობას არასწორად ესმით ადრეული ქორწინების მიზეზები. ისინი მიზეზებად ასახელებენ „ბავშვების სითამამეს, ტექნოლოგიურ წინსვლას, რელიგიურ ფაქტორებს, ინტერესს საპირისპირო სქესის მიმართ“ და არ განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა გენდერული უთანასწორობა, ინფორმაციის ნაკლებობა და საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებები. მათი აზრით, გოგონებისთვის მიცემული ზედმეტი თავისუფლების შედეგია ადრეულ ასაკში ქორწინება.

„ვფიქრობ, ინტერნეტმა და თავისუფლებამ მოიტანა ეს. მასწავლებელი ვარ და ყოველ წელს კლასში თითო გოგონა მაკლდება. 14–16 წლის გოგონებს დიდი თავისუფლება მიანიჭეს და ვფიქრობ, რომ 20 წლის წინ ეს საკითხი სხვანაირად იდგა. შეიძლება პერსპექტივის ნაკლებობაც იყოს ამის მიზეზი“. (საგარეჯო)

ანგარიშის ავტორების თქმით, საზოგადოება ვერ აცნობიერებს, რომ საპირისპირო სქესის მიმართ ინტერესი მოზარდებს განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში უმძაფრდებათ. ეს ნორმალურია და ქორწინებით არ უნდა სრულდებოდეს. სინამდვილეში, გოგონები გენდერული უთანასწორობის მსხვერპლნი ხვდებიან, რადგან იციან, რომ თუ საპირისპირო სქესის მიმართ ინტერესს გამოავლენენ, საზოგადოების მხრიდან „მითქმა-მოთქმის და განსჯის“ საგანი გახდებიან. შესაბამისად, ურთიერთობების „ლეგალიზებას“ ახდენენ და რეპუტაციის შელახვასაც თავს აღწევენ. აღსანიშნავია, რომ ბიჭების შემთხვევაში ასე არ ხდება. პირიქით, მათთვის საპირისპირო სქესთან ურთიერთობები სახალისოა და გამოცდილებად ეთვლებათ. მშობლებს მიაჩნიათ, რომ ნიშნობით თუ გათხოვებით თავიანთ გოგონებს რისკს აარიდებენ და „პატრონს ჩააბარებენ“. სამცხე ჯავახეთისა და აჭარის რეგიონში ფიქრობენ, რომ გოგონების ქორწინებისთვის 20 წელი კარგი ასაკია, ხოლო 25 წელი - უკვე დაგვიანებული.

შეხვედრებზე ისაუბრეს იძულებით ქორწინებაზეც, რომლის ინიციატორი ხშირ შემთხვევაში მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები არიან (ბოლნისი). ამ შემთხვევაში გოგოს

უფლება არ აქვს უარი თქვას ქორწინებაზე ან ნიშნობაზე, თუ განსაკუთრებული მიზეზი არ ექნება. „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახიდურში, როცა 15 წლის გოგონას ქორწინებას აიძულებდნენ, მას ჯერ საქმრო გაუსწორდა ფიზიკურად, რადგან გოგონამ უარი თქვა ქორწინებაზე, ხოლო შემდეგ, მან თვითმკვლელობა სცადა“. ასევე, აღინიშნა ის ფაქტი, რომ მოტაცებული გოგონების უმრავლესობა იძულებულია ცოლად გაყვეს გამტაცებელს. მათზე გავლენას ახდენს საზოგადოების და ოჯახის ზეწოლა, რომლებიც გოგონას „სახელი არ გაუტყდეს“-ო ფიქრობენ. თანაც, როგორც ქვემო ქართლის ადგილობრივმა მოსახლეობამ განაცხადა, მოტაცებულ გოგონას ცოლად არავინ მოყვანს და თუ ვეღარ გათხოვდება, მაშინ ის „დაღუპულია“. არის შემთხვევები, როდესაც გოგონები მალავენ მოტაცების ფაქტებს, რადგან მისი ოჯახის წევრები არ დადგნენ საფრთხის წინაშე გამტაცებელზე შურის ძიების გამო.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა ადრეული ქორწინების შედეგებად დაასახელეს ჯანმრთელობის პრობლემები, განათლების მიღების შეწყვეტა, ოჯახში ძალადობის და/ან განქორწინების დიდი ალბათობა და სხვა პრობლემები, რომლებსაც უფლებების არ ცოდნა იწვევს. ასევე, პრობლემატურად მიიჩნევენ გოგონების განვითარების პერსპექტივის ნაკლებობას. დაქორწინებული გოგოები ხშირ შემთხვევაში თანახმა არიან იმუშაონ დაბალანაზღაურებად სამსახურებში და შვილს ოჯახის სხვა წევრს უტოვებენ. რაც შეეხება სწავლის გაგრძელებას, ეს ბიჭის ოჯახის გადასაწყვეტია_ თუ მათთვის პრიორიტეტულია განათლება, მაშინ ისინი იზრუნებენ, რომ გოგონამ გათხოვების შემდეგ სწავლა განაგრძოს.

„ეს დამოკიდებულია ოჯახის ღირებულებებზე, თუ მათთვის განათლება მნიშვნელოვანია, აუცილებლად დაამთავრებინებენ; თუმცა არიან ოჯახები, რომლებსაც სწავლა არ აინტერესებთ“. (ბათუმი)

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ადრეული ქორწინების შემდეგ დაორსულებული გოგონების უმრავლესობა სკოლაში სიარულს აღარ აგრძელებს. მიზეზი რამდენიმეა: სკოლაში გოგონები თავს არაკომფორტულად გრძნობენ (ნინოწმინდა), სხვა ბავშვების მშობლები მოითხოვენ ორსული გოგონასთვის მოსწავლის სტატუსის შეჩერებას (წალკა), მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ ორსული გოგოს სკოლაში

სიარული „არ არის ლამაზი“ (წალკა). გამონაკლის წარმოადგენს ხულოს მაგალითი, სადაც მთელი კლასი და პედაგოგებიც ყურადღებას აქცევენ და მზრუნველობენ კლასში მყოფ ორსულ გოგონას.

„თუ თხოვდება ან მდიდარ ოჯახში მოხვდება, სწავლას აღარ აგრძელებინებენ, ან თუ ოჯახი თანახმაა და გოგონა სკოლაში გამოუშვეს, სკოლის დირექცია არ დაუშვებს, რომ ორსულმა გაკვეთილებზე იაროს“. (ახალქალაქი)

„ორსულ ბავშვს გაკვეთილზე რომ დასვამს სკოლის დირექტორი ეს ნორმალურია? ცალკე სკოლები უნდა არსებობდეს ასეთი ბავშვებისთვის“. (ლაგოდეხი)

„არ შეიძლება ფეხმძიმე ბავშვი იჯდეს გაკვეთილზე, ზნეობრივად ეს გამართლებულია?“ (ლაგოდეხი)

„თუ მას განათლების მიღება უნდა ნუღა მივა იქამდე რომ დაორსულდეს“. (თელავი)

„არ არის მიზანშეწონილი ორსული ბავშვი გაკვეთილზე იჯდეს“. (შუახევი)

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მონაწილეებმა ისაუბრეს დამკვიდრებულ პატრიარქალურ გენდერულ ნორმებზე, რომლის მიხედვით გოგოს მთავარი სამომავლო პერსპექტივა დაქორწინებას უკავშირდება. გენდერული როლები შემდეგნაირად ნაწილდება: კაცის მთავარი მოვალეობა ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფაა, ხოლო ქალის - ბავშვის აღზრდა და საოჯახო საქმეების შესრულება. ასევე, გამოითქვა ვარაუდი, რომ არ აქვს მნიშვნელობა ქალის საზოგადოებრივ როლს, რადგან მისი მოვალეობა მაინც საოჯახო საქმეების (ჭურჭლის დარეცხვა ან საჭმლის მომზადება) მოგვარება იქნება. საუბრებისას აღინიშნა ბოლო წლების ტენდენციები. მათი აზრით, დღესდღეობით, ოჯახში „შემომტანები“ ძირითადად ქალები არიან და მიმდინარეობს „მიგრაციის ფემინიზაცია“, რაც პრობლემას წარმოადგენს.

რაც შეეხება ადრეული ქორწინების პრევენციაზე პასუხისმგებელ პირთა როლს, მონაწილეების აზრით, პირველ რიგში მშობლები არიან ვალდებულნი ესაუბრონ შვილებს ყველა იმ დეტალზე, რაც ადრეულ ასაკში აინტერესებთ მათ შვილებს (თელავი). ასევე ფიქსირდება მასწავლებელთა მნიშვნელოვანი როლი მსგავსი ინფორმაციის

მიწოდებაში. „... გავითვალისწინოთ მშობლების დონეც, რა განათლება აქვთ მშობლებს და როგორ აძლევენ ისინი ამ განათლებას შვილებს? ამიტომ მგონია, რომ პირველ რიგში სკოლის მოვალეობა უნდა იყოს მოზარდს მისცეს სწორი განათლება და ინფორმაცია. სჯობს არსებობდეს სტანდარტი, რომელიც იქნება ყველა ბავშვზე გათვლილი“. (თელავი)

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მონაწილე თანხმდება მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ გაუცხოებაზე და მათ შორის გულახდილი საუბრების იშვიათობაზე. მასწავლებლების ნათქვამიდან ირკვევა, რომ ბავშვებს აინტერესებთ ინფორმაცია აივ ინფექციასა და სხვა სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე, კონტრაცეპტივებზე, მენსტრუაციასა და მასთან დაკავშირებულ მოვლენებზე. თუმცა, ბევრი მშობელი მსგავს თემებზე საუბარს თავს არიდებს. შესაბამისად, ბავშვებიც მოუმზადებელნი არიან მასწავლებლებისგან მსგავსი საუბრების მოსასმენლად. მიიჩნევენ, რომ კარგია ბავშვებთან მსგავსი შეხვედრები, მაგრამ შეხვედრები, ასევე მშობლებთანაც უნდა ტარდებოდეს, რადგან „სწორედ ისინი ახორციელებენ ბავშვების მიმართ ძალადობას“. ასევე, პრობლემას წარმოადგენს მშობლების ნეგატიური დამოკიდებულება, რომ სკოლამ მიაწოდოს ბავშვებს ინფორმაცია სქესობრივ ცხოვრებაზე.

შეხვედრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები არ იცნობენ თავიანთ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს. მათ ჰგონიათ, რომ ოჯახის საქმეა თუ მშობელი შვილს ათხოვებს. ისინი ასევე საუბრობენ უსაფრთხოების გარანტიის არქონაზე. „მასწავლებელი თუ შეატყობინებს შესაბამის სამსახურებს, მეორე დღეს მოგივარდებიან და ჩაგქოლავენ“. (ახალციხე) მასწავლებლები არ არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ მიმართვის შემთხვევაში სოციალური მომსახურებისა თუ პოლიციის თანამშრომლები მათ ვინაობას არ გაამჟღავნებენ და კონფიდენციალობა დაცული იქნება. რჩება შთაბეჭდილება, რომ მასწავლებლები თავს იმართლებენ, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, არ ფლობენ ინფორმაციას პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებზე, რომელიც ადრეული ქორწინების შემთხვევის დროს სოციალური მუშაკისადმი და პოლიციისადმი მიმართვის განხორციელებას გულისხმობს. მათთვის გაურკვეველია, როგორ შეიძლება ერთდროულად ბავშვის სკოლაში არ ყოფნის გარკვევა და კონფიდენციალობის დაცვა. ვერ აცნობიერებენ, რომ ძალადობაა როდესაც ბავშვს უზღუდავ განათლების მიღებას.

უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ბავშვების არაინფორმირებულობა მათ ძირითად უფლებებთან დაკავშირებით. მიაჩნიათ, რომ მშობლის შეხედულება გადამწყვეტია და ვერ წარმოუდგენიათ სიტუაცია, როდესაც მშობლის „წინააღმდეგ“ მიმართავენ ვინმეს. „... თვითონ თუ წავა პოლიციაში, ოჯახს შეარცხვენს, რადგან მათ წინააღმდეგ მისცემს ჩვენებას“ (ნინოწმინდა). ფაქტია, რომ რეგიონებში უფლებებთან დაკავშირებით ინფორმაცია ძალიან მწირია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სკოლაში ისწავლება საგანი „სამოქალაქო განათლება“, პრაქტიკა სხვა რამეს გვიჩვენებს. შეხვედრის მონაწილეებმა თეორიულად იციან როგორ ამოიცნონ ძალადობ, თუმცა უჭირთ გამოსავლის ნახვა და ძალადობის შემთხვევაზე რეაგირება.

სამწუხაროდ, შეხვედრების დროს გამოიკვეთა, რომ რეფერირების მექანიზმი არ მუშაობს. უფრო მეტიც, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც არც მასწავლებლებმა და არც მოსახლეობამ არ იცის სოციალური სამსახურის არსებობის და მათი პასუხისმგებლობების შესახებ. ლაგოდეხში ადრეული ქორწინების კუთხით სოციალური მუშაკისთვის არასდროს მიუმართავთ. თელავში არ ფიქსირდება სოციალური მუშაკისადმი სკოლიდან მიმართვიანობაზე არცერთი ფაქტი. რაც შეეხება აჭარას, ხელვაჩაურსა და ბათუმში შედარებით უკეთესი ვითარებაა. სოციალური სამსახურის თანამშრომლებმა ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რაც ხელს უშლის რეგიონებში მათ აქტიურობას. მიზეზებს შორის დაფიქსირდა: სოციალური მუშაკების გადინება სამსახურიდან, მრავალი მიმართულებით მუშაობა, დაბალი ხელფასი, არასათანადო კვალიფიკაცია, ადამიანური რესურსის ნაკლებობა, ასევე, მათ მიმართ ფიქსირდება შესაძლო ძალადობის ფაქტები, რაც განპირობებულია მოძალადესთან უშუალო კონტაქტით.

აღინიშნა სახელმწიფოს როლიც, რომელსაც დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადრეული ქორწინების ფაქტების აღმოსაფხვრელად.

„პრობლემა არ არის მარტო მოსახლეობაში, არამედ სახელმწიფოშიც. 2 წელი ვმუშაობდი სასამართლოში და 15 ფაქტი მაინც მახსოვს მოტაცების შემთხვევაზე. ამ საქმეებიდან 100% საპროცესო შეთანხმებით დასრულდა. ასეთ შემთხვევებზე სახელმწიფო რეაგირება არ არის, მიმართვიანობაც ძალიან დაბალია. მე თავად შევესწარი

ფაქტს, როდესაც გოგონა ადრეულ ასაკში დაქორწინდა და ქორწილში სკოლის დირექტორი იყო თამადა“. (მარნეული)

ზოგადად, აღინიშნა, რომ ადგილობრივ მოსახლეობა არ ენდობა სახელმწიფო სტრუქტურებს. გარდაბანში შეხვედრისას განმარტეს, რომ მოსახლეობა არ მიმართავს სამართალდამცავებსა თუ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს, რადგან რეალური დახმარების იმედი არა აქვთ და მიიჩნევენ, რომ მიმართვით შეიძლება დაზარალდნენ.

2017 წელს, გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA) და გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF), დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრთან (NCDC) და საერთაშორისო კვლევით ორგანიზაცია „პრომუნდოსთან“ თანამშრომლობით, ჩაატარეს პირველი თვისობრივი კვლევა მთელი ქვეყნის მასშტაბით ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა გენიტალიების დასახიჩრების საზიანო პრაქტიკების საკითხზე. კვლევა არკვევს ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებულ დამოკიდებულებებს, ნორმებს და პრაქტიკებს საქართველოში. თვისებრივი მონაცემები შეგროვდა საქართველოს 10 რეგიონის ქალაქებსა და სოფლებში და ქვეყნის დედაქალაქში. საკვლევი ჯგუფის წარმოადგენდა:

- დაქორწინებული გოგონები/ახალგაზრდა ქალები. ასაკობრივი ჯგუფები: 12-17, 18-24, 25-34;
- დაუქორწინებელი გოგონები/ახალგაზრდა ქალები. ასაკობრივი ჯგუფი: 12-17;
- დაქორწინებული ვაჟები/ახალგაზრდა კაცები. ასაკობრივი ჯგუფები: 12-17, 18-24, 25-34;
- დაუქორწინებელი ვაჟები/ახალგაზრდა კაცები. ასაკობრივი ჯგუფი: 12-17;
- დაქორწინებული წყვილების ოჯახის წევრები;
- სხვა პირები (მასწავლებლები, ექიმები, სკოლის ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები), გადაწყვეტილების მიმღებები, აგრეთვე ადგილობრივი თემის და რელიგიური ლიდერები.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკა გავრცელებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის დედაქალაქშიც. ზოგიერთ

ეთნიკურ ჯგუფში ადრეული ქორწინების ასაკი 13, 14 და 15 წელია, რაც განსხვავდება ძირითადი მოსახლეობისგან, სადაც ადრეული ქორწინების ასაკი 16-17 წლებია.

ადრეულ ასაკში ქორწინების გამომწვევ ფაქტორად სახელდება ის გარემოება, რომ შეყვარებულ ახალგაზრდებს სურთ ადრე ქორწინება, რასაც რესპონდენტები ახალგაზრდებისთვის მინიჭებული მეტი თავისუფლებით ხსნიან. მაგრამ, კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ აუცილებელია სხვა ფაქტორების გათვალისწინება „უპირველეს ყოვლისა კი ნორმები, რომლებიც ახალგაზრდებს უზღუდავს შესაძლებლობას, თავისუფლად შეხვდნენ მეგობარ გოგოს/ბიჭს, რის გამოც ისინი გამოსავალს დაქორწინებაში ხედავენ. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი უკავშირდება ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის ტაბუდადებულ თემას. ამ სიტუაციაში დაქორწინება ის მისაღები გამოსავალია, რომელიც საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს, გაიგონ მეტი საკუთარი სექსუალობის შესახებ სტიგმატიზაციის გარეშე. მესამე ფაქტორია მამაკაცურობასთან დაკავშირებული ნორმები, რომელიც ხელს უწყობს ბიჭის, როგორც სექსუალური ქმნილების, იმიჯის განმტკიცებას და ბიძგს აძლევს ბიჭებში სქესობრივი გამოცდილების მოზარდობაშივე მიღების სურვილს. მეოთხე ხელშემწყობი ფაქტორია ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენება და ზოგ საკვლევ არეალში თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარებისთვის არასაკმარისი სივრცეები, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ის, რომ ახალგაზრდებს მხოლოდ სოციალური მედიის საშუალებით აქვთ ერთმანეთთან კონტაქტი და, შესაბამისად, ცდილობენ, რეალურ ცხოვრებაში დაამყარონ საინტერესო ურთიერთობები“ (გვ. 8). მეხუთე ფაქტორად სახელდება ეკონომიკური პრობლემები, რომელსაც კიდევ უფრო ამწვავებს უმუშევრობის მაღალი რაოდენობა. ამიტომ, ზოგჯერ ქორწინება ყველაზე მისაღები გამოსავალია. მე-6 ფაქტორი ის ნორმებია, რომელიც 30 წლის ზემოთ მყოფ ქალების სტიგმატიზებას ახდენს და ხელსუწყობს სოციალური ზეწოლის განხორციელებას. თანაც, ჩვენს კონტექსტში, დედამთილს ურჩევნია ახალგაზრდა რძალი, რომელსაც მარტივად „გაზრდის“. ბოლო ფაქტორს სხეულის ფორმების ცვლილება წარმოადგენს, რომელიც ხშირად გოგონას ქალად ჩათვლის ინდიკატორი ხდება. „ყველა ამ ფაქტორის ერთობლიობამ და ურთიერთდამოკიდებულებამ შექმნა კონტექსტი, რომელიც ზღუდავს შესაძლებლობებსა და არჩევანს მოზარდებისთვის და ქმნის იმის განცდას, რომ

ახალგაზრდები „ირჩევენ“ ადრეულ ქორწინებას, თუმცა შეზღუდული ნება-სურვილის პირობებში“ (გვ. 8).

კვლევის მიხედვით, ნაკლებად ხდება წინააღმდეგობის გაწევა ადრეულ ქორწინებაზე. ასევე, ადრეულ ასაკში დაქორწინებული გოგონების უმრავლესობა ტოვებს სკოლას. ამის მთავარი მიზეზი ის მოლოდინებია, რომელიც დაოჯახებული გოგონეისგან ელია. საშუალო და უმაღლესი განათლების მიღება ბიჭებისთვის უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე გოგონებისთვის. ამასთან, გააგრძელებს თუ არა სწავლას დაოჯახებული გოგონა ამის შესახებ გადაწყვეტილებას ხშირად ქმარი ან ქმრის ოჯახის იღებს. რესპონდენტების უმეტესობა აღნიშნავდა, რომ გოგონებისთვის განათლების მიღება მნიშვნელოვანია, მაგრამ ძირითადად იმისთის, რომ შვილები კარგად აღზარდონ.

ოჯახური მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გოგონების ჯანმრთელობის რისკებსა და ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობაზე. რესპონდენტთა უმეტესობა თანხმდება და აცნობიერებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს, რომელიც თან ახლავს ადრეულ ქორწინებას, დაწყებული ადრეულ ასაკში მშობიარობით და დამთავრებული ადრეული ქორწინების თანმდევი ფსიქოლოგიური ტრავმებით. დასახელდა ასევე უარყოფითი შედეგები იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც არასრულწლოვანი დედები ჰყავთ, რისი მიზეზიც თინეიჯერი დედების მიერ განცდილი სხვადასხვა სახის სტრესია.

კვლევამ აჩვენა, რომ დაქორწინების შემდეგ წყვილის თანაცხოვრებას ქვეყანაში გავრცელებული გენდერული ნორმები განსაზღვრავს. რესპონდენტთა უმრავესობას აღნიშნა, რომ გოგონებისთვის დაქორწინების შემდეგ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და მობილურობა მკვეთრად იზღუდება. ასევე, გადაწყვეტილებას ოჯახის ბიუჯეტის, განათლების გაგრძელებისა და ოჯახის დაგეგმვის შესახებ ხშირ შემთხვევაში ქმრის ოჯახი იღებს. ქალის მოვალეობა კი შვილისა და ქმრის ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვაა. „ამ ნორმების დაცვა შედარებით მკაცრად მოეთხოვებოდათ ისეთ ქორწინებაში მყოფ ქალებს, სადაც ცოლსა და ქმარს შორის შედარებით დიდია ასაკობრივი განსხვავება. ამგვარ ქორწინებებში გენდერული როლებიც უფრო მკაცრად არის განსაზღვრული. ეს შედეგები ცხადყოფს, რომ როგორც

ბიჭებს, ასევე გოგონებს გათავისებული აქვთ საზოგადოებრივი ნორმების გენდერული აღქმა, რაც იწვევს არჩევანის და მობილურობის შეზღუდვას გოგონებისთვის დაქორწინების შემდეგ, და მიუთითებს, რომ ძალზე მნიშვნელოვანია როგორც გოგონების, ასევე ბიჭებისთვის სოციალიზაციის უსაფრთხო სივრცის უზრუნველყოფა," რათა ახალგაზრდებმა შეძლონ შექმნან და შეინარჩუნონ ჰარმონიული და საინტერესო ურთიერთობება (გვ. 10) .

„ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქოსოციალური კეთილდღეობა არ მიიჩნევა ჯანდაცვის სერვისების მნიშვნელოვან კომპონენტებად, განსაკუთრებით, ახალგაზრდა, დაქორწინებული ქალებისთვის. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლები შესაბამის უწყებას ინფორმაციას არასრულწლოვან ორსულებთან დაკავშირებით 24 საათის განმავლობაში აწვდიან დაბადების მოწმობის გაცემის მიზნით, ვერ დადგინდა, მოჰყვება თუ არა ამგვარ შეტყობინებას რაიმე სამართლებრივი რეაგირება" - ნათქვამია კვლევაში (გვ. 64).

1.3. ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 1 იანვარს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 1108-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილში ცვლილება შევიდა[8]. ცვლილების მიხედვით საქართველოში „16 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მშობლების ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით, ხოლო თანხმობაზე მათ მიერ უარის ან თანხმობის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, პატივსადები მიზეზების არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორწინების ნებართვის გაცემა შეუძლია სასამართლოს. პროექტის მიხედვით, 1108-ე მუხლიდან ამოდის ის ნორმა, რომელიც უშვებს არასრულწლოვან პირთა ქორწინებას და გარდამავალი ნორმის სახით ემატება კოდექსს 1507 მუხლის სახით. ცვლილების მიხედვით, იზრდება არასრულწლოვანის მინიმალური საქორწინო ასაკი და ნაცვლად 16

[8] „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი" მუხლი 1108. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3122424#DOCUMENT:1

წლისა, განისაზღვრება 17 წელი. ასევე, დგინდება, რომ მშობლებსა და მზრუნველებს აღარ ექნებათ ქორწინებაზე თანხმობის გაცემის უფლებამოსილება, ვინაიდან აღნიშნული მოექცევა, მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში. ამავდროულად, ცვლილებით კონკრეტდება არასრულწლოვან პირთა ქორწინების საფუძველი და ერთადერთ პატივსადებ საფუძვლად განისაზღვრება ბავშვის დაბადება. პროექტის თანახმად, საკითხის ზემოაღნიშნული მოწესრიგება წარმოადგენს გარდამავალი პერიოდის ნორმას და ძალას დაკარგავს ცვლილების ამოქმედებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული დროისათვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, მინიმალურ საქორწინო ასაკად განსაზღვრული იქნება 18 წელი და არასრულწლოვანი პირები საერთოდ ვეღარ იქორწინებენ“ (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016, გვ. 3).

2014 წლის ბოლოს განხორციელდა ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის თანახმადაც 150[1]-ე მუხლი – ქორწინების იძულება ჩაემატა, რითაც მისი კრიმინალიზაცია მოხდა. აღნიშნული ცვლილება ძალაში 2015 წლის პირველი აპრილიდან შევიდა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2014, გვ. 686).

ასევე, საქართველოში სქესობრივი კავშირი კანონით დაშვებულ ასაკს მიუღწეველ, ანუ თექვსმეტ წლამდე ბავშვთან, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ან აღკვეთით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 140). იძულებითი ადრეული ქორწინება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის[9] დარღვევაცაა, სადაც წერია, რომ „დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას” (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 16 (2)) .

საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად „არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობის“ შემთხვევაში მშობლები მიიღებენ გაფრთხილებას ან დაჯარიმდებიან 200 ლარის ოდენობით. ასევე, „მეურვეობისა და მზრუნველობის

[9] საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/uploads/other/76/76808.pdf

ორგანოებისათვის ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ფაქტების შესახებ შეუტყობინებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით.“ სამწუხაროდ, პრაქტიკაში ამ კანონის ამოქმედება იშვიათად ხდება. ეს მიგვანიშნებს, რომ პასუხისმგებელი პირები მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს არ ასრულებენ (გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2013, გვ. 6).

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში: რეფერირების პროცედურები)[10] 2010 წლის 31 მაისის ბრძანებაში დეტალურად არის გაწერილი საქართველოს შინაგან საქმეთა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მოვალეობები და ვალდებულებები, როდესაც ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევა წარმოიშობა. თუმცა სახალხო დამცველის აპარატის მუშაობის შედეგები ცხადყოფს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებთან დაკავშირებით რეფერირების პროცედურით გათვალისწინებული საკითხები თითქმის არ სრულდება. რეფერირების პროცედურების შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან უგულვებელყოფას ცხადყოფს საქართველოს სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის პრაქტიკაც (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016, გვ. 7).

ერთ-ერთ სტატიაში განათლების სამინისტრო აცხადებს: ”თუ მშობელი გაიყვანს ბავშვს, ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია”. თუმცა, კონვენციის მიხედვით, მშობელი შეიძლება არღვევდეს ბავშვთა უფლებებს, მაგრამ სახელმწიფომ უნდა დაიცვას ისინი. პრობლემა იწყება მაშინ, როდესაც სამინისტროს სპიკერი აცხადებს, ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთო (ექსპერტი) (გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2013, გვ. 6).

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ნებაყოფლობით იღებს გადაწყვეტილებას შეუერთდეს თუ არა საერთაშორისო კონვენციებს. მაგრამ, როგორც კი გადაწყვეტილებას მიიღებს, იგი ვალდებული ხდება იმოქმედოს შესაბამისი კონვენციის დებულების მიხედვით.

[10] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1021481?publication=0

ქორწინების უფლება, პირის გაცნობიერებული და თავისუფალი ნების საფუძველზე, დაცულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებით, მათ შორის: ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის მე-16 მუხლით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 მუხლით, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-10 და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის 23-ე მუხლით (საქართველოს სახალხო დამცველი, 2012, გვ. 705).

ადამიანის უფლებათა კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მოახდინონ 18 წლამდე ქორწინების პრევენციის უზრუნველყოფა. მოუწოდებს, განახორციელონ კანონმდებლობაში ცვლილებები, რითაც ხელს შეუწყობენ ადრეულ ქორწინების პრევენციას. ადრეულ ქორწინებაზე ასევე ყურადღებას ამახვილებს არაერთი საერთაშორისო კონვენცია და ხელშეკრულება: კონვენცია ქორწინებაზე თანხმობის, მინიმალური საქორწინო ასაკისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ (1962), კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979), ბავშვთა უფლებათა კონვენცია (1989), პეკინის პლატფორმის სამოქმედო გეგმა, რომელიც ერთვის გაეროს ქალთა მეოთხე საერთაშორისო კონვენციას. ადამიანის უფლებათა კომიტეტი ძალადობის წინააღმდეგ (CAT), პირდაპირ მიუთითებს სახელმწიფოებს, რომ უნდა გაატარონ ეფექტური რეფორმები ადამიანთა უფლებების რეალიზებისა და ძალადობის ფაქტების აღმოფხვრის კუთხით, რადგან ქორწინება, სადაც თანხმობა მიცემულია მეურვის მიერ, და არა პირადი სურვილით, შეიძლება ჩაითვალოს ისეთივე ძალადობად, როგორიცაა არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა (წულეისკირი & ჯობავა, 2014, გვ. 13).

ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი მე-19 ზოგად რეკომენდაციაში, ხაზს უსვამს იძულებით ქორწინების საკითხს, რომლითაც კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს, ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-2, მე-5 და მე-10 მუხლების ერთიანობაში განხილვით აღიარონ, რომ ტრადიციული შეხედულებები, სტერეოტიპული როლები და მასზე დაფუძნებული იძულებითი ქორწინება არის ძალადობა ქალთა მიმართ და მიიღონ ყველა შესაფერისი ზომა, რათა შეიცვალოს აღნიშნული ტრადიციები და სტერეოტიპული შეხედულებები. კომიტეტი ასევე მოუწოდებს სახელმწიფოებს, ოჯახში ძალადობის დეფინიცია

განმარტონ იმდაგვარად, რომ დამაზიანებელი ტრადიციები და იძულებითი ქორწინება განიხილებოდეს როგორც ქალთა მიმართ ძალადობა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2012, გვ. 707).

ბავშვთა უფლებების კომიტეტი 2003 წლის მე-4 ზოგად კომენტარში ყურადღებას ასევე ამახვილებს ბავშვთა ადრეული ქორწინების ისეთ შედეგებზე, როგორიცაა ბავშვის განვითარებისა და განათლების უფლების შეზღუდვა. ბავშვები, რომლებიც ქორწინდებიან, განსაკუთრებით გოგონები, ხშირად იძულებულნი არიან მიატოვონ სკოლა და გაირიყებიან საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად [11] , საშუალო განათლება ბავშვებისთვის სავალდებულოა. შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რათა არც ერთი ბავშვი არ დარჩეს საშუალო განათლების მიღების გარეშე (საქართველოს სახალხო დამცველი, 2012, გვ. 706).

როგორც ჩანს, საქართველოში საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისობასთან დაკავშირებით პრობლემა არ დგას. არსებობს მხოლოდ ინსტიტუციური იმპლემენტაციის პრობლემა, რადგან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არ არის საკმარისად აქტიური, არ ახდენს სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით (გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2013, გვ. 9).

[11] ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 28. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901

თავი 2. ადრეული ქორწინების გავლენა ჯანმრთელობაზე

როგორც უკვე აღინიშნა, ადრეულ ასაკში დაქორწინებული მოზარდის ჯანმრთელობა და სოციალური რისკები ძალზე მაღალია. 2011 წელს ჟურნალი Pediatrics-ის მიერ ჩატარებული კვლევის [12] თანახმად, დაქორწინებულ არასრულწლოვნებში გაცილებით მაღალია ფსიქიკური აშლილობების რისკი, ვიდრე დაქორწინებულ ზრდასრულებში. ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონები სრულად არ არიან მომწიფებულნი სქესობრივი ცხოვრების, დედობი, აბორტისა და მოსალოდნელი ქალური დაავადებებისთვის, მათი ფიზიკური განვითარება ჯერ კიდევ მოზარდობის სტადიაშია. „მოზარდობის ასაკში მიმდინარე ორსულობა და მშობიარობა გოგონას ჯანმრთელობას ზიანს აყენებს და ზრდის გართულებების წარმოშობის ალბათობას. გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) წლიური ანგარიშის თანახმად („დედობა ბავშვობაში“ 2013 წ), განვითარებად ქვეყნებში ყოველწლიურად შვიდ მილიონზე მეტი არასრულწლოვანი გოგონა მშობიარობს, რომელთა შორის ორ მილიონს 14 წლამდეც კი არ მოუღწევია. ასევე, განვითარებად ქვეყნებში ყოველწლიურად დაახლოებით 70 000 მოზარდი გოგონა კვდება ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული პრობლემებისგან, არაუსაფრთხოდ ჩატარებული აბორტები კი 3,2 მილიონ მოზარდზე მოდის“ (საფარი, 2016).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით (2017 წ.) გლობალურად, ორსულობის გართულებები 15-19 წლის გოგონათა სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია.

საინფორმაციო მასალაში: „სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები და ადრეული ქორწინება და ორსულობა“[13] მოცემულია ადრეული ქორწინების და ადრეული ორსულობისა და მშობიარობის უარყოფით მხარეები.

ადრეული ქორწინების უარყოფით მხარეები:

---

[12] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://pediatrics.aappublications.org/content/pediatrics/early/2011/08/24/peds.2011-0961.full.pdf

[13] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://www.geoyouth.ge/upload/files/STI_Early_Marriage_Pregnancy.pdf

- არასასურველი ორსულობა, აბორტი;
- ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემები;
- ადრეული შვილოსნობით გამოწვეული სირთულეები და პრობლემები, რაც უკავშირდება ახალშობილის ჯანმრთელობას, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (არასრულფასოვანი განათლება, მწირი შემოსავალი ა.შ);
- შესაძლო განქორწინება.

ადრეული ორსულობისა და მშობიარობის უარყოფითი მხარეები:

- მოზარდებში ორსულობა ხშირად სრულდება არალეგალური აბორტით;
- მაღალია ორსულობისა და მშობიარობის გართულებებით გამოწვეული სიკვდილი;
- ორგანიზმის მოუმწიფებლობის გამო ხშირია ორსულობისა და მშობიარობის სხვადასხვა გართულება (მაგ. ნაადრევი მშობიარობა, ახალშობილის დაბალი წონა, მკვდრადშობადობა, თვითნებური აბორტი);
- არაინფორმირებულობის გამო ექიმთან ვიზიტების დაბალი სიხშირე, რაც რისკის ქვეშ აყენებს დედის და ბავშვის ჯანმრთელობას;
- მშობიარობის შემდგომი დეპრესია (გვ. 2).

გამოცემა „ორსულობა და დედობა მოზარდებში“, [14] რომელიც მომზადდა პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში, აღნიშნულია, რომ, დღეისათვის, გახშირდა მოზარდ გოგონებში ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი, რაც ზრდის დაუგეგმავ ორსულობათა რისკს. სტატისტიკის მიხედვით, სქესობრივი აქტივობის დაწყებიდან 6 თვის განმავლობაში ყოველი 100 ასეთი კავშირი 50 ორსულობით სრულდება, ამათგან მეხუთედი - პირველი თვის განმავლობაში (გვ. 5).

ამავე გამოცემაში მოცემულია ინფორმაცია მოზარდთა ორსულობის შესახებ:

[14] პროგრამა ხორციელდება გაეროს სააგენტოების: გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women); გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოში (UNFPA) მიერ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://en.calameo.com/read/000713529a259431c77e6

- შესაძლებელია 20 წლამდე ასაკის გოგონას ნორმალური ორსულობა ჰქონდეს და ჯანმრთელი შვილიც ყავდეს, თუმცა ორსულობისა და მშობიარობის გართულებებით 15-დან 19 წლამდე ასაკის ქალების სიკვდილიანობა 20-30 წლის ქალებთან შედარებით 2-ჯერ უფრო მაღალია, ხოლო 15 წლამდე ასაკის გოგონებისა - 5-ჯერ;
- მოზარდ გოგონებში, ორგანიზმის უმწიფობის გამო, სიკვდილიანობაზე გაცილებით ხშირია სამშობიარო ტრავმა და ინფიცირება;
- მოზარდებში დიდია ნაადრევი მშობიარობის საშიშროება;
- მოზარდთა შვილების სიკვდილიანობა 1 წლამდე ასაკში 1,5-ჯერ აღემატება ზრდასრული ქალების ბავშვთა სიკვდილიანობის სიხშირეს;
- დროის ნაკლებობის გამო ან გასუქების შიშით მოზარდები ხშირად არასწორად იკვებებიან, რაც უფრო მეტად ზრდის ორსულობის გართულებათა რისკს;
- სიგარეტი, ალკოჰოლი და ნარკოტიკები, რომლებიც ზოგჯერ მოზარდთა სოციალური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს, სერიოზულ პრობლემებს უქმნის ნაყოფის განვითარებას და ორსულის ჯანმრთელობას;
- ორსულ მოზარდებს შორის უფრო მეტად არის გავრცელებული ანემია, რაც რკინის მზარდი მოთხოვნილების შედეგია;
- მოზარდ ასაკში ორსულობამ შესაძლოა გამოიწვიოს სოციალური პრობლემები - ხელი შეუშალოს განათლების მიღებას და საგრძნობლად შეცვალოს სამომავლო გეგმები (უმუშევრობა ან დასაქმების შეზღუდვა) (გვ. 5-6).

2017 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რესპონდენტებს აქვთ ინფორმაცია და ეთანხმებიან ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის საფრთხეებს, დაწყებული მშობიარობის შემდეგ შესაძლო გართულებებით და დამთავრებული ფსიქოლოგიური ტრავმებით. მოზარდი გოგონები არ არიან მზად ოჯახური ცხოვრების სტრესისათვის და არც ბავშვის დაბადებისთვის. დასტურდება, რომ დაოჯახებულ გოგონებს სქესობრივი გზით გადამდები (სგგ) დაავადებების სამკურნალო და რეპროდუქციული

ჯანმრთელობის სერვისებზე უფრო მარტივად მიუწვდებათ ხელი, ვიდრე დაუოჯახებელ გოგონებს. ამის მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, ქვეყანაში არსებული მკაცრი ნორმები და სირცხვილის განცდაა, რომელიც უკრძალავს გოგონებს ქორწინებამდე დაიწყონ სქესობრივი ცხოვრება. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა მამაკაცები, ქალები და რელიგიური ლიდერები არ ეწინააღმდეგებიან რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისებზე ქორწინებამდე წვდომის საჭიროებას და აღიარებენ მის მნიშვნელობას (გვ. 55).

ამავე კვლევის სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი რესპონდენტები, მიუთითებდნენ, რომ გოგონებს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა აქვთ, არ იციან, თუ რა დღეებში შეიძლება დაორსულება, როგორ მიიღონ სიამოვნება, რა არის სხეული, ურთიერთობა და როგორ აირიდონ სგგ ინფექციები.

რაც შეეხება სამედიცინო სერვისების გამოყენებას, აღსანიშნავია, რომ გოგონები გინეკოლოგთან მიდიან მხოლოდ ქორწინების შემდგომ, სამედიცინო ჩვენების შემთხვევაში ან ორსულობის დროს და არ იტარებენ რუტინულ შემოწმებას. უფრო მეტიც, ხშირად გოგონები ქორწინებამდე გინიკოლოგთან „ქალწულობის დადგენის“ მიზნით მიდიან ან ბიჭის/ოჯახის წევრების მოთხოვნით, გამოიკვლიონ გოგონას საქალწულე აპკი და მოპოვებულ იქნეს სამედიცინო ცნობა გოგონას ქალწულობასთან დაკავშირებით. დაქორწინებული გოგონებისთვის რუტინული გინეკოლოგიური გამოკვლევები მისაღები ხდება.

სამწუხარო რეალობაა, რომ სირცხვილისა და უხერხულობის განცდა დაუქორწინებელი და დაქორწინებული გოგონებისთვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიღებასთან დაკავშირებით კვლავ აქტუალურია საქართველოში. ამასთან, დაუქორწინებელი გოგონები მნიშვნელოვანი ბარიერების წინაშე დგანან სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიღების დროს. ისინი თავს არიდებენ ჯანდაცვის სერვისების მიღებას ტაბუს გამო, რადგან სხვებმა შეიძლება გაიგონ მათი ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობის შესახებ. „დაუქორწინებელი გოგონებისთვის ხელმისაწვდომი უნდა

იყოს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები (მარტო ან სხვისი თანხლებით). ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ბავშვებისა და მოზარდებისთვის ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა განპირობებულია მათი ფინანსური დამოკიდებულებით მშობლებზე, რაც მიჩნეული იქნა მოზარდებისთვის დამაბრკოლებელ ფაქტორებად, რადგან მათ ეშინიათ, რომ მოუწევთ, მშობლებს გაუმხილონ ექიმთან ვიზიტის მიზეზი“ (გვ. 55).

ქართულ საზოგადოებას განსხვავებული დამოკიდებულება აქვს გინეკოლოგთან ვიზიტის მიმართ ორსულობამდე და ორსულობის შემდეგ, რაც მიუთითებს, რომ ქვეყანაში დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობას, გოგონების, როგორც მომავალი დედების, დაცვას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას გოგონების დაქორწინებამდე.

კვლევის ავტორების თქმით, შესაძლოა, რომ მამრობითი სქესის ჩართულობა ქალებისა და გოგონების რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხებში ასევე იზღუდება საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმებით, რომლებიც აიძულებენ გოგონებს თავი შეიკავონ სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის საკითხებზე საუბრისგან როგორც ოჯახის გარეთ, ასევე მეუღლეებთან.

„გოგონების ოჯახური მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენს მათ წინაშე არსებული ჯანმრთელობის რისკებსა და ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობაზე, რადგან გოგონები, რომლებიც თხოვდებიან ბავშვობის ან მოზარდობის ასაკში, ნაკლებად სავარაუდოა, მზად იყვნენ ჯანსაღი ორსულობისა და მშობიარობისთვის. არსებობს მტკიცებულებები, რომ ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ზრდის დედათა და ბავშვთა ავადობისა და სიკვდილიანობის რისკს“ (გუპტა, ტ.პ., ტეილორი, ა., ლაურო, ჯ., შენგელია, ლ., სტურუა, ლ., 2018).

თავი 3. პრევენცია

საკანონმდებლო წესის დანიშნულება პრობლემის მოგვარების აუცილებელი პირობაა. თუმცა, მხოლოდ კანონის არსებობა ვერ მოახდენს საკითხის პრევენციას. აუცილებელია, სახელმწიფომ განახორციელოს ამ წესის ამოქმედებისა და აღსრულების კონტროლი (წულეისკირი & ჯობავა, 2014, გვ. 15).

ადრეული ქორწინების პრევენციისთვის მისასალმებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც მოსწავლის მიერ განათლების შეწყვეტის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მიტოვების მიზეზი. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2014, გვ. 686) ამასთანავე, ადრეული ქორწინების პრევენციის ერთ–ერთ მნიშვნელოვან რგოლს პედაგოგები წარმოადგენენ, რომელთა ვალდებულებაშიც ფაქტის შეტყობის შემდეგ შესაბამისი სტრუქტურების ინფორმირება შედის (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016, გვ. 8).

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ადრეულ ასაკში ქორწინებასთან ბრძოლის დროს. ამასთან, აუცილებელია კანონით განსაზღვრული ყველა დაინტერესებული სტრუქტურის ჩართულობა და გაწერილი ინსტრუქციების შესრულება. ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია არასრულწლოვან პირთათვის რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა თუ კონტრაცეფციის საშუალებებზე ინფორმაციის მიწოდება, რათა მოზარდებს შესაძლებლობა ჰქონდეთ სწორად გააანალიზონ მოსალოდნელი შედეგები და შეაფასონ მათ წინაშე მდგარი რისკები (საქართველოს სახალხო დამცველი, 2014, გვ. 686).

სოციალური და კულტურული სტერეოტიპების შეცვლით, უნდა წახალისდნენ გოგონები, რათა შეძლონ პროფესიული კარიერის შექმნა, ასევე უნდა მოხდეს მათი ხელშეწყობა, რომ თავიანთი ცხოვრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში თავადვე მიიღონ მონაწილეობა (აბაშიძე & არგანაშვილი, 2015, გვ. 6). მნიშვნელოვანია სკოლებში ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდება და

მეგობრული სერვისების ჩამოყალიბების ხელშეწყობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016, გვ. 8).

აუცილებელია სახელმწიფო უწყებებმა მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ ადრეული ქორწინების პრევენციის მიზნით. ჯანდაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლების სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე არასამთავრებო ორგანიზაციებისა და რელიგიურ პირებს შორის თანამშრომლობითი კომუნიკაცია ხელს შეუწყობს ადრეული ქორწინების შემთხვევების საგრძნობლად შემცირებას.

მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში ქორწინების თანმდევ რისკებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება, განათლების სისტემაში გენდერული საკითხებისა და სასიცოცხლო უნარების/კომპლექსური სექსუალური განათლების ინტეგრირების მეშვეობით. ასევე, ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის (განსაკუთრებით, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის) სერვისების შეთავაზება მნიშვნელოვანია. ასევე გასათვალისწინებელია ჯანდაცვის პერსონალის დამოკიდებულებასა და პრაქტიკაზე მუშაობა და ინოვაციური გზების შემუშავება ენობრივი ბარიერების დაძლევისა და ქვეყნის ყველაზე მარგინალიზებული (გეოგრაფიულად, ენობრივად და კულტურულად) მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

თავი 4. მცირე მასშტაბის კვლევა

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში დაიგეგმა და შესრულდა მცირე მასშტაბის კვლევა, 2019 წლის მაისის თვეში. კვლევის შედეგების საშუალებით შეფასდა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების ცოდნა - დამოკიდებულება ადრეული ქორწინების მიმართ. კვლევა ჩატარდა სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე მოხდა კითხვარის ფორმულირება და შეთანხმება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ეთიკის კომისიასთან, მეორე ეტაპზე - რესპონდენტთა გამოკითხვა, მესამე ეტაპზე - მიღებული მონაცემების დამუშავება, ანალიზი და შედეგების საფუძველზე დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

კვლევის სუბიექტი - კვლევის სუბიექტად შერჩეულ იქნა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის: ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტურანტურის 203 სტუდენტი.

კვლევის ინსტრუმენტი - გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კვლევის ჩასატარებლად შემუშავებულ იქნა კითხვარი, სულ 26 კითხვა, რომელთაგან პირველი 11 კითხვა მოიცავდა რესპონდენტთა მახასიათებლებს. კვლევის ინსტრუმენტში დასმული კითხვების მიხედვით შესაძლებელია შეფასდეს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების ცოდნა და დამოკიდებულება ქვეყანაში არსებული ადრეული ქორწინების მდგომარეობის მიმართ.

კვლევის შედეგი - შედეგები წარმოდგენილია გრაფიკების სახით, სადაც წარმოჩნდა, როგორც რესპონდენტთა მახასიათებლები, ასევე გამოკითხვის შედეგები.

რესპონდენტთა მახასიათებლები: კვლევის რესპონდენტთა უმრავლესობა შეადგენდა მდედრობით სქესს, 21-23 ასაკობრივ ჯგუფს, დასაოჯახებელ, ქართველ, მართლმადიდებელ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალური პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბაკალავრიატის სტუდენტებს, უმრავლესობა ცხოვრობს ოჯახთან ერთად და მათი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას აფასებენ, როგორც საშუალო შესაძლებლობის

მქონეს.

1. რესპონდენტთა უმრავლესობა 73,4% იყო მდედრობითი სქესის, ხოლო 26,6% - მამრობითი სქესის წარმომადგენელი.

დიაგრამა #1.



2. ასაკობრივი ჯგუფები შემდეგნაირად განაწილდა: გამოკითხულთა უმრავლესობა იყო 35,5% 21-23 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები, ხოლო უმცირესობა 2% 34 წლის და მეტი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები.

ასაკობრივი ჯგუფი	პროცენტული განაწილება
18-20 წლის	30%
21-23 წლის	35,5%
24-27 წლის	25,6%
28-30 წლის	3,9%
31-33 წლის	3%
34 წლის და მეტი	2%

3. გამოკითხულთა უმრავლესობა 77,3% მართლმადიდებელი ქრისტიანია, 16,3% მუსლიმი, 4,9% არცერთი, 1,5% სხვა რელიგიურ აღმსარებლობას მიაკუთვნებს თავს.

დიაგრამა #2.



4. რესპონდენტთა უმრავლესობა 95% ეთნიკურად ქართველია, 2% სომეხი, 1% აზერბაიჯანელი, 2% სხვა ეთნიკური კუთვნილების.

დიაგრამა #3.



5. ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, რესპონდენტთა 83,3% დასაოჯახებელია, 12,8% დაოჯახებული, 2,5% კი განქორწინებული/გაშორებული.

დიაგრამა #4.



6. გამოკითხულთა უმრავლესობა 40,4% თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს, 17,2% ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, 9.9% საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, 4,4% ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, 3,9% თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, 3,4% საქართველოს უნივერსიტეტში, ხოლო 16.5% სხვა უნივერსიტეტებში.

დიაგრამა #5.



7. რესპონდენტთა უმრავლესობა 74,4% ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტია, 19.2% მაგისტრატურის, 3,9% რეზიდენტური და 2,5% დოქტორანტურის.

დიაგრამა #6.



8. რესპონდენტთა უმრავლესობა 31,5% სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულების სტუდენტია, 16,3% მედიცინისა და ეკონომიკის მიმართულების, 13.5% ჰუმანიტარული და განათლების მეცნიერებათა მიმართულების, 7,9% ტექნიკურის, 7,4% იურიდიულის, 3% ზუსტი და საბუნებისმეტყველოს, ხოლო 4,5% სხვა მიმართლებაზე სწავლობს.

დიაგრამა #7.



9. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რესპონდენტთა უმრავლესობა 70% თბილისში ცხოვრობ, ხოლო 30% რეგიონში.

დიაგრამა #8.



10. რესპონდენტთა უმრავლესობა 72,4% საშუალოდ აფასებს თავის მატერიალურ მდგომარეობას, მაღალს ასახელებს 24,6%, დაბალს და ძალიან დაბალს - 1,5%.

დიაგრამა #9.



11. გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა 77,3% ოჯახთან ერთად ცხოვრობს, 7,9% მარტო, 6,9% ნათესავთან ერთად, 4,4% პარტნიორთან ერთად, ხოლო 3,4% მარტო.

დიაგრამა #10.



12. კითხვაზე, თქვენი აზრით, ძირითადად რის საფუძველზე იქმნება ოჯახები საქართველოში, რესპონდენტთა უმრავლესობამ 82,3% წყვილის ერთმანეთის მიმართ სიყვარული დაასახელა, 36,5% წყვილის ღირებულებების და ინტერესების ერთმანეთთან შესაბამისობა, 33,5% ქორწინებამდელი სექსუალური ურთიერთობის დროს ქალის დაფეხმძიმება, 28,6% წყვილის სურვილი ჰქონდეთ სექსუალური ურთიერთობა.

დიაგრამა #11.



13. შეკითხვაზე, თქვენი აზრით, ძირითადად რის საფუძველზე იქმნება ოჯახები საქართველოში, პასუხები სქესის მიხედვით ასე გადანაწილდა.

დიაგრამა #12.



14. შეკითხვაზე, საქართველოში რა არის გოგონების ადრეული ქორწინების მიზეზი, რესპონდენტთა 70% სექსუალური ურთიერთობის დაწყების სურვილს ასახელებს, 55,7% მშობლების კონტროლისაგან გაქცევის სურვილს, 39,9 % ფეხმძიმობას, 34% კი კარიერის და განათლების მიმართ ნაკლებ ინტერესს.

დიაგრამა #13.



15. შეკითხვაზე, საქართველოში რა არის გოგონების ადრეული ქორწინების მიზეზი, მამრობითი სქესის რესპონდენტები გოგონების სექსუალური ურთიერთობის დაწყების სურვილთან და ფეხმძიმობასთან ერთად მეუღლის მაღალ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარაებას მიიჩნევენ. ხოლო, მდედრობითი სქესის უმრავლესობა, გოგონათა ადრეულ ქორწინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად მშობლის კონტროლისგან გაქცევის სურვის ასახელებს.

დიაგრამა #14.



16. შეკითხვაზე, თქვენი აზრით, საქართველოში რა არის ვაჟების ადრეული ქორწინების მიზეზი, რესპონდენტთა უმრავლესობა 61,1% პარტნიორის ფეხმძიმობას ასახელებს, 41,4% კარიერის და განათლების მიმართ ნაკლებ ინტერესს, 36,5% გოგონასთან ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობას, 29,1% კი ქალიშვილობის ინსტიტუტს.

დიაგრამა #15.



17. შეკითხვაზე, საქართველოში რა არის ვაჟების ადრეული ქორწინების მიზეზი, მამრობითი სქესის წარმომადგენლები ქალიშვილობის ინსტიტუტის არსებობას, გოგონასთან ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობას და პარტნიორის ფეხმძიმობა ასახელებენ. მდედრობითი სქესის რესპონდენტები ქალიშვილობის ინსტიტუტის არსებობასთან და გოგონასთან ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობის ქონასთან ერთად ვაჟების კარიერის და განათლების მიმართ ნაკლებ ინტერესს ასახელებენ.

დიაგრამა #16.





18. კითხვაზე, რომელია ქორწინებისთვის სასურველი ასაკი ქალისათვის და ვაჟისათვის, რესპონდენტთა უმრავლესობამ ორივე სქესისთვის სასურველ ქორწინების ასაკად მიუთითა 23 - 26 ასაკობრივი ჯგუფი.

დიაგრამა #17.



19. შეკითხვაზე, რომელია ქორწინებისთვის სასურველი ასაკი ვაჟისთვის, მონაცემები სქესის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა.

დიაგრამა #18.



20. შეკითხვაზე, რომელია ქორწინებისთვის სასურველი ასაკი ქალისათვის, მონაცემები სქესის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა.

დიაგრამა #19.



21. შეკითხვაზე, ქალისათვის და მამაკაცისათვის რა ასაკშია ქორწინება ადრეული, უმრავლესობამ ორივე სქესისთვის 18 წლამდე პასუხი დააფიქსირა.

დიაგრამა #20.



22. კითხვაზე, თქვენი აზრით, ქალისათვის და ვაჟისთვის რა ასაკშია ქორწინება ადრეული, მონაცემები სქესის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა.

დიაგრამა #21.





23. კითხვაზე, თქვენი აზრით, ქალისათვის და ვაჟისთვის რა ასაკშია ქორწინება ადრეული, მონაცემები ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა.

დიაგრამა #22.





24. რაც შეეხება ადრეული ქორწინების მდგრადობას, რესპონდენტთა უმრავლესობა 69,5% აღნიშნავს, რომ ადრეულ ასაკში შექმნილი ოჯახი არ არის მდგრადი, საშუალოდ მიიჩნევს 28,1% პროცენტრი, ხოლო 2,5% მიიჩნევს, რომ ადრეულ ასაკში შექმნილი ოჯახი მდრადია.

დიაგრამა #23.



25. რესპონდენტთა უმრავლესობა 72% თვლის, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება გავლენას ახდენს გოგონების ჯანმრთელობაზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ 10,8% რესპონდენტების დააფიქსირა, რომ უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო 13,8% არ იცის ახდენს თუ არა გავლენას.

დიაგრამა #24.



26. შეკითხვაზე, მოზარდთა ორსულობის დროს როგორია ორსულობის და მშობიარობის გართულებები, სამშობიარო ტრავმა და ინფიცირების რისკი, ნაადრევი მშობიარობის საშიშროება, მოზარდთა არასწორად კვების რისკი, ანემიის შემთხვევისა და მოზარდთა სიკვდილიანობის საფრთხე, შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა.

დიაგრამა #25.



დიაგრამა #26.



დიაგრამა #27.



დიაგრამა #28.



დიაგრამა #29.



დიაგრამა #30.



27. კითხვაზე, თქვენი აზრით, მოზარდთა ორსულობის დროს - მოზარდთა სიკვდილიანობა, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, დიაგრამიდან ჩანს, რომ რეგიონში მცხოვრებ რესპონდენტთა ხმები გაიყო - 33% მაღალია, 33% საშუალოა. „არ ვიცი“ პასუხს აფიქსირებს თბილისში მცოხვრები - 18%, რეგიონში მცხოვრები - 21%.

დიაგრამა #31.



28. კითხვაზე, თქვენი აზრით, მოზარდთა ორსულობის დროს - მოზარდთა სიკვდილიანობა, სქესისი მიხედვით, დიაგრამიდან ჩანს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობამ „მაღალია“ პასუხი დააფიქსირა.

დიაგრამა #32.



29. რესპონდენტთა უმრავლესობა 65,5% ეთანხმება მოსაზრებას „მოზარდ გოგონებს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ნაკლები ინფორმაცია აქვთ“.

დიაგრამა #33.



30. რესპონდენტთა უმრავლესობა 62,1% სრულიად ეთანხმება მოსაზრებას „მოზარდი გოგონების უმეტესობა გინეკოლოგთან ქორწინების შემდგომ მიდის“.

დიაგრამა #34.



31. ქორწინების ასაკის სამართლებრივ რეგულირების შესახებ დასმულ კითხვაზე შედეგები ასე გადანაწილდა: ყოველმა მე-2 იცის, რომ 18 წლამდე პირთა ქორწინება აკრძალულია, ყოველი მე-3 მიიჩნევს, რომ შესაძლებელია 16 წლის პირთა ქორწინება მშობლის ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით, 12,8% (n=26) აღნიშნავს, რომ არ იცის.

დიაგრამა #35.



32. მხოლოდ, 21-23 ასაკობრივი ჯგუფის უმეტესობამ 51,4% იცის, რომ საქართველოში 18 წლამდე პირთა ქორწინება აკრძალულია. 24-27 ასაკობრივი ჯგუფის 44,2% ფიქრობს, რომ საქართველოში შესაძლებელია 16 წლის პირთა ქორწინება მშობლის ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

დიაგრამა #36.



თავი 5. კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის დასკვნები

ამგვარად, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, კვლავ მაღალია ადრეული ქორწინების შემთხვევები და არასრულწლოვან მშობელთა რაოდენობა. საქართველოში, სამწუხაროდ, გავრცელებულია, როგორც ქორწინების იძულების, ასევე გარიგების/ნიშნობის პრაქტიკაც. ჩვენს ქვეყანაში გამოწვევად რჩება ადრეული ქორწინების პრევენცია და შემთხვევების მართვა, ადრეული ქორწინების შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება და კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება. ამასთან, პრობლემატურია ისიც, რომ ადრეული ქორწინება საზოგადოებისათვის მიღებულ პრაქტიკად ითვლება.

ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევები განხილული უნდა იქნას როგორც ძალადობა. ადრეულ ქორწინების შემთხვევები ფიქსირდება როგორც დედაქალაქში, ისე საქართველოს რეგიონებში, თუმცა ამ პრაქტიკის მახასიათებლები და მისი გამომწვევი მიზეზები განსხვავდება რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობისა და რეგიონების მიხედვით. ერთი მხრივ, ტრადიციები და პატრიარქალური ღირებულებები, და მეორე მხრივ, განათლების ნაკლებობა და სიღარიბე წარმოადგენს ნაადრევი ქორწინების მთავარ განმაპირობებელ ფაქტორებს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 16 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი, რომლის მიხედვით, 2017 წლიდან კი ქორწინების მინიმალური ასაკი 18 წელია. დადებითად უნდა აღინიშნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ბავშვის მიერ სკოლის მიტოვების შემთხვევაში მიეთითება მიტოვების საფუძველი. აღნიშნულმა ცვლილებამ ადრეული ქორწინების მასშტაბების დანახვა ნაწილობრივ შესაძლებელი გახადა. ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისოს, თუმცა ამ კანონმდებლობის აღსრულება პრაქტიკაში პრობლემას წარმოადგენს.

საქართველოში უგულვებელყოფილია რეფერირების პროცედურები შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან: სახელმწიფო უწყებებს გააჩნიათ ინფორმაცია ადრეული

ქორწინების შემთხვევებთან დაკავშირებით. თუმცა მათი მხრიდან აქტიური მუშაობა არ ხორციელდება. ადრეული ქორწინების პრობლემა ყველა უწყებისთვის თანაბრად მნიშვნელოვანი და თემატურია. სწორედ ამიტომ აუცილებელია მათი ერთობლივი ჩართულობა ადრეული ქორწინების პრევენციულ ღონისძიებებში.

კვლევების გაანალიზებიდან ჩანს, რომ მოსახლეობას და მათ შორის ბავშვებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია იძულებითი ქორწინების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შესახებ, დღემდე მოქმედებს პრინციპი „ოჯახის საქმე“, რომელში ჩარევასაც თავს არიდებენ სხვადასხვა დაინტერესებული პირები. პასუხისმგებლობას არ გრძნობენ პედაგოგებიც, რომლებიც ფაქტის შეტყობის შედეგად არ მოქმედებენ კანონით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, მეტიც, ხშირად მასწავლებელთა უმრავლესობამ არც კი იცი ასეთი ვალდებულებების არსებობის შესახებ. განათლება რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე არ არის სკოლის პროგრამის ნაწილი. შედეგად, მოზარდები არ ფლობენ ამ საკითხთან დაკავშირებულ სათანადო ინფორმაციას.

რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და უფლებებზე არაინფორმირებულობა, ასევე - ქორწინების შემდეგ მაშინვე დაორსულებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მოლოდინები განაპირობებს ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონას ნაადრევ დედობას. ასევე, გენდერული ნორმები მნიშვნელოვან როლს თამაშობს არასრულწლოვანი გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მიწოდების საკითხში. ქორწინებამდე სექსთან დაკავშირებული სტიგმა და ტაბუ მნიშვნელოვნად განაპირობებს გოგონების ქორწინებამდელ სქესობრივ აქტივობას და ძირითად აქცენტს მათ უმანკოებასა და ღირსებაზე აკეთებს. გამომდინარე აქედან, ეს ნორმები მნიშვნელოვნად აფერხებს გოგონების ხელმისაწვდომობას ჯანმრთელობის სერვისებზე და აიძულებს მათ, ექიმთან ვიზიტზე საიდუმლოდ წავიდნენ. ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობის აკრძალვა გოგონებზე ვრცელდება, ხოლო ბიჭებისთვის სექსუალური სურვილები ნორმად რჩება.

მცირემაშტაბიანი კვლევის მიგნებები

- როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, სტუდენტების უმრავლესობას ქორწინების საფუძვლად მიაჩნია წყვილის ერთმანეთის მიმართ სიყვარული (82.3%, n=167), წყვილის ღირებულებების და ინტერესების ერთმანეთთან შესაბამისობა (36,5%, n=72) და ქორწინებამდელი სექსუალური ურთიერთობის დროს ქალის დაფეხმძიმება (33,5%, n=61).
- სქესის მიხედვით ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მამრობითი სქესის ყოველი მე-5 წარმომადგენელი საქართველოში ქორწინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად ეკონომიკური მგდომარეობის გაუმჯობესებას მიიჩნევს (18,8%, n=12).
- რესპონდენტთა უმრავლესობა (70%) გოგონების ადრეული ქორწინების მიზეზად სექსუალური ურთიერთობის დაწყების სურვილს ასახელებს, ყოველი მე-2 (55,7%) მშობლების კონტროლისაგან გაქცევის სურვილს, ყოველი მე-3 (39,9%) ფეხმძიმობას და (34%) კარიერის და განათლების მიმართ ნაკლებ ინტერესს.
- მამრობითი სქესის რესპონდენტები გოგონების სექსუალური ურთიერთობის დაწყების სურვილთან (25,7%, n=35) და ფეხმძიმობასთან (19,1%, n=26) ერთად მეუღლის მაღალ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარაებას (14,7%, n=20) მიიჩნევენ. ხოლო, მდედრობითი სქესის უმრავლესობა, გოგონათა ადრეულ ქორწინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად მშობლის კონტროლისგან გაქცევის სურვის ასახელებენ (23,6%, n=90).
- რესპონდენტთა ყოველი მე-2 (61,1%, n=123) ვაჟების ადრეული ქორწინების მიზეზად პარტნიორის ფეხმძიმობას ასახელებს, ყოველი მე-3 (41,4%) კარიერის და განათლების მიმართ ნაკლებ ინტერესს და (36,5%) გოგონასთან ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობას, ყოველი მე-4 კი (29,1%) ქალიშვილობის ინსტიტუტს.
- „საქართველოში რა არის ვაჟების ადრეული ქორწინების მიზეზი“, მდედრობითი სქესის რესპონდენტები ვაჟების ადრეული ქორწინების მიზეზად გოგონასთან ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობის ქონასთან (15,3%) და პარტნიორის ფეხმძიმობასთან (25%) ერთად ვაჟების კარიერის და განათლების მიმართ ინტერესის არქონას (17,8) ასახელებენ.

- სტუდენტების უმრავლესობა ქალისთვის და კაცისთვის ქორწინების სასურველ ასაკად 23-26 წელს ასახელებს. ხოლო, ადრეული ქორწინების ასაკად 18 წლამდე ქორწინებას.
- მხოლოდ, რესპონდენტთა 24-27 ასაკის ჯგუფის წარმომადგენელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქალისთვის (32,7%, n=17) და ვაჟისთვის (30,8%, n=16) 21 წლამდე ქორწინება არის ადრეული.
- გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა 69,5% აღნიშნავს, რომ ადრეულ ასაკში შექმნილი ოჯახი არ არის მდგრადი.
- რესპონდენტთა უმრავლესობა 72% თვლის, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება გავლენას ახდენს გოგონების ჯანმრთელობაზე, თუმცა ყოველმა მე-4 (28%, n=57) არ იცის, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება გავლენას ახდენს გოგონების ჯანმრთელობაზე.
- გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მოზარდთა ორსულობის დროს მაღალია ორსულობის და მშობიარობის გართულებები (69,5%), სამშობიარო ტრავმა და ინფიცირება (64%), ნაადრევი მშობიარობის საშიშროება (60,1%), მოზარდთა არასწორად კვების რისკი (45,3%), ანემიის შემთხვევა (45,3), მოზარდთა სიკვდილიანობა (36,5%).
- ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ სტუდენტების 9,4% (n=57) არ იცის, რომ მოზარდთა ორსულობის დროს არსებობს ორსულობის და მშობიარობის გართულებების საფრთხე, 14,8% (n=30) სამშობიარო ტრავმის და ინფიცირების რისკი, 17,3% (n=35) ნაადრევი მშობიარობის საშიშროების და 14,8% (n=30) მოზარდთა არასწორად კვების რისკი.
- საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რესპონდენტთა შეხედულება რეგიონში მცხოვრები სტუდენტების 33%-33% „მოზარდთა ორსულობის დროს მათი სიკვდილიანობის რისკი“ „მაღალია“ და „საშუალოა“ პასუხებს, ხოლო 21% არ ვიცი პასუხს აფიქსირებს.
- სტუდენტების 11,8% (n=24) არ ეთანხმება მოსაზრებას „მოზარდ გოგონებს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ნაკლები ინფორმაცია აქვთ“.

- სტუდენტთა 17,2% (n=35) ეთანხმება მოსაზრებას „მოზარდი გოგონების უმეტესობა გინეკოლოგთან ქორწინების შემდგომ მიდის“.
- გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ 47,3% იცი, რომ საქართველოში 18 წლამდე პირთა ქორწინება აკრძალულია. 33,5% ფიქრობს, რომ შესაძლებელია 16 წლის პირთა ქორწინება მშობლის ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით, ხოლო 12,8% აღნიშნავს, რომ არ იცის.
- ამათგან, 21-23 ასაკობრივი ჯგუფის უმეტესობამ 51,4% იცის, რომ საქართველოში 18 წლამდე პირთა ქორწინება აკრძალულია. 24-27 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა თითქმის ნახევარი (44,2%, n=23) ფიქრობს, რომ საქართველოში შესაძლებელია 16 წლის პირთა ქორწინება მშობლის ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

რეკომენდაციები

- აუცილებელია განხორციელდეს ბავშვთა დაცვის შესახებ რეფერირების დოკუმენტით განსაზღვრული კოორდინაცია შესაბამის სამინისტორებს შორის;
- უნდა მოხდეს ზედამხედველობა შეტყობინების ვალდებულების შესრულების პასუხისმგებელ სტრუქტურებს შორის;
- საჭიროა სპეციალისტების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარდეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ.
- მიზანშეწონილია სამოქალაქო განათლების სწავლებისას ყურადღება გამახვილდეს ადრეულ ქორწინებაზე და მის უარყოფით გავლენაზე.
- საჭიროა განათლების სამინისტრომ უზრუნველყოს მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებით არსებულ ვალდებულებებზე;

- მოხდეს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირებისთვის ადრეული ქორწინების შემთხვევებისას არსებული მომსახურებისა და სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა.

- აუცილებელია შემუშავდეს ადრეული ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპები.

- საჭიროა ჯანდაცვის მუშაკების მეტი ჩართულობა ადრეული ქორწინების და ორსულობის პრევენციისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე, ა., & არგანაშვილი, ა. (2015). *ადრეული ქორწინება და მისი ზეგავლენა ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციაზე.* თბილისი: ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო".

2. ავალიანი, ნ; ბუწაშვილი, მ; კანდელაკი, გ; მებონია, ნ; სტურუა, ლ; შახ-ნაზაროვა, მ. (2012). *ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2010.* თბილისი: შპს "ვესტა".

3. ბრეგვაძე, თ. (2014). *ტრეფიკინგი, როგორც ფენომენი.* მასალა წარმოდგენილია ლექციაზე სოციალური მუშაობის პრაქტიკა ტრეფიკინგის მსხვერპლებთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. (2000 წლის 25 მაისი). *ბავშვთა უფლებათა კონვენცია, მუხლი 28.* მოპოვებული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901-დან

5. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია. (1989). *ყველა ადამიანი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი, ითვლება ბავშვად.* მოპოვებული: http://www2.ohchr.org/english/law/crc.htm-დან

6. გაეროს გენერალური ასამბლეა. (1948 წლის 10 დეკემბერი). *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 16 (2).* მოპოვებული: www.parliament.ge/.../1418_23909_908457_adamianisuflebatasakoveltaodeklaracia-დან

7. გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA). (2013). *საქართველო - ადრეული ქორწინება.* თბილისი.

8. გუპტა, ტ.პ., ტეილორი, ა., ლაურო, ჯ., შენგელია, ლ., სტურუა, ლ. (2018). *ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში.* თბილისი, აშშ: NCDC, Promundo-US, UNFPA, UNICEF.

9. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC). (2015). *მოზარდთა და ახალგაზრდების ჯანმრთელობა საქართველოში.* თბილისი.

10. კახეთის საინფორმაციო ცენტრი. (2016 წლის 24 მარტი). *პანკისში ტრადიციული ისლამის მეჩეთის იმამები არასრულწლოვანთა ქორწინებას აღარ გააფორმებენ.* მოპოვებული: http://ick.ge/articles/26613-i.html-დან

11. *ორსულობა და დედობა მოზარდებში.* მოპოვებული: en.calameo.com -დან

12. საფარი. (2016 წლის 19 აპრილი). *ადრეული ქორწინება.* მოპოვებული: https://sapari.ge/archives/395-დან

13. საქართველოს პარლამანეტი. (2014 წლის 31 ოქტომბერი). *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, მუხლი 150[1].* მოპოვებული https://matsne.gov.ge/ka/document/view/2554994#DOCUMENT:1;-დან

14. საქართველოს პარლამენტი. (2012 წლის 08 ივნისი). *საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, მუხლი 172.* მოპოვებული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1670356-დან

15. საქართველოს პარლამენტი. (2013 წლის 16 დეკემბერი). *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, მუხლი 140.* მოპოვებული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2101943#DOCUMENT:1;-დან

16. საქართველოს პარლამენტი. (2015 წლის 28 დეკემბერი). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, მუხლი 1108.* მოპოვებული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3122424#DOCUMENT:1-დან

17. საქართველოს სახალხო დამცველი. (2012). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* თბილისი.

18. საქართველოს სახალხო დამცველი. (2013). *გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები.* თბილისი.

19. საქართველოს სახალხო დამცველი. (2013). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* თბილისი.

20. საქართველოს სახალხო დამცველი. (2014). *10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანი უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* თბილისი.

21. საქართველოს სახალხო დამცველი. (2014). *გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები.* თბილისი.

22. საქართველოს სახალხო დამცველი. (2014). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* თბილისი.

23. საქართველოს სახალხო დამცველი. (2015). *10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანი უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* თბილისი.

24. საქართველოს სახალხო დამცველი. (2015). *საქართველოს სახალხო დამცველი ადრეულ ასკში ქორწინების პრევენციისთვის.* თბილისი: ორგანიზაცია "ოქსფამი".

25. საქართველოს სახალხო დამცველი. (2015). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* თბილისი.

26. საქართველოს სახალხო დამცველი. (2016). *ადრეულ ასაკში ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები.* თბილისი.

27. საქართველოს სახალხო დამცველი. (2016). *განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე.* ქუთაისი: საქართველოს პარლამენტი.

28. საქართველოს სახალხო დამცველი. (2017). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* თბილისი.

29. საქართველოს სახალხო დამცველი. (2018). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* თბილისი.

30. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2015). *ქორწინებათა რიცხვი სქესისა და წინა ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით.* მოპოვებული: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=166&lang=geo-დან

31. *სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები და ადრეული ქორწინება და ორსულობა.* მოპოვებული: www.geoyouth.ge-დან

32. წულეისკირი, ნ., & ჯობავა, მ. (2014). *ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზები (სამცხე-ჯავახეთი).* თბილისი: ასოციაცია "ჰერა XXI".

33. Girls not brides. Retrieved from: https://www.girlsnotbrides.org/where-does-it-happen/atlas

34. *The Top 5 Things You Didn't Know About Child Marriage*. Retrieved from: http://www.care.org/our-work/womens-empowerment/child-marriage/top-5-things-you-didnt-know-about-child-marriage

35. UNICEF. (2014, July 22). *Ending Child Marriage: Progress and prospects.* Retrieved from: http://data.unicef.org/resources/ending-child-marriage-progress-and-prospects.html

შემოკლებები და განმარტებები

CAT - ადამიანის უფლებათა კომიტეტი ძალადობის წინააღმდეგ

NCDC – National Center for Disease Control and Public Health / დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი.

Promundo - საერთაშორისო კვლევით ორგანიზაცია

UNFPA - გაეროს მოსახლეობის ფონდი

UNICEF - გაეროს ბავშვთა ფონდი

UN Women - გაეროს ქალთა ორგანიზაცია

UNDP - გაეროს განვითარების პროგრამის

აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები

გაერო – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

საქსტატი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სგგი - სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

დანართი #1.

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"
National Center for Disease Control and Public Health

IRB00002150 National Center for Disease Control and Public Health
IRB #1(FWA00002781)

სამედიცინო ეთიკის კომისიის თანხმობის წერილი

მთავარი მკვლევარი: კერესელიძე მაია
სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
ტელ: 599 744 041
ელ.ფოსტა: maiakere59@gmail.com

ოქმი #2019-25

კვლევის სათაური: "საქართველოში ადრეული ქორწინების მდგომარეობა და მისი გავლენა ჯანმრთელობაზე".

ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამედიცინო ეთიკის კომისიამ განიხილა პროექტის მომდევნო წლით გაგრძელების განაცხადი და დაასკვნა, რომ კვლევის პროტოკოლის მიხედვით საკვლევი პირების უფლებები და კეთილდღეობა ადექვატურადაა დაცული.

განხილვის ტიპი: დაჩქარებული
განხილვის თარიღი: 2019 წლის 22 მაისი

აღნიშნული დასკვნა იძლევა უფლებამოსილებას კვლევა ჩატარდეს **2019 წლის 22 მაისიდან 2020 წლის 22 მაისამდე**.

- კვლევის პროცესში ნებისმიერი გაუთვალისწინებელი პრობლემის ან უარყოფითი მოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობეთ ეთიკის კომისიას.
- ნებისმიერი ცვლილება კვლევის მეთოდოლოგიაში, პროტოკოლში, მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებში ან/და თანხმობის ფორმაში განხორციელებამდე უნდა აცნობოთ ეთიკის კომისიას.
- თუ კვლევა არ დასრულდება ამ დოკუმენტში მოცემულ ვადებში, საჭიროა კვლევის ხელახალი განხილვა ეთიკის კომისიის მიერ.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: (995-322) 398946 ან ელ. ფოსტით: irb.ncdc@gmail.com.

კომისიის თავმჯდომარე: მარინა თოფურიძე, IRB0000215

მ. ასათიანის 9, თბილისი 0177; 9 M.Asatiani st., Tbilisi, 0177, Georgia ; Phone: (995-322) 39 89 46, Fax: (995-322) 31 14 85,
E-mail: ncdc@ncdc.ge

დანართი #2.

„სტუდენტების ცოდნა-დამოკიდებულება ადრეული ქორწინების მიმართ“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი მუშაობს სამაგისტრო ნაშრომზე „საქართველოში ადრეული ქორწინების მდგომარეობა და მისი გავლენა ჯანმრთელობაზე“.

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ტარდება კვლევა „სტუდენტების ცოდნა-დამოკიდებულება ადრეული ქორწინების მიმართ“.

კვლევა ანონიმურია და მისი შედეგები გამოყენებული იქნება მხოლოდ საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებისთვის. კვლევის პერიოდში და მას შემდეგ კონფიდენციალობა სრულად იქნება დაცული.

გთხოვთ, აირჩიოთ თქვენთვის მისაღები პასუხი და შემოხაზოთ.

დემოგრაფიული ბლოკი:

d1. სქესი:

1. მდედრობითი
2. მამრობითი

d2. ასაკი : *(მიუთითეთ)* _____ *(წლის)*

d3. ოჯახური მდგომარეობა:

1. *დაუოჯახებელი (გადადით შეკითხვაზე D4)*
2. დაოჯახებული
3. განქორწინებული/გაშორებული
4. ქვრივი
5. *თანამცხოვრები (გადადით შეკითხვაზე D4)*

D3.1 რა ასაკში დაქორწინდით? (მიუთითეთ ასაკი) ____

D4. საცხოვრებელი ადგილი:

1. თბილისი
2. რაიონი

D5. უნივერსიტეტი:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
3. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტი
6. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი
7. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
8. საქართველოს უნივერსიტეტი
9. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
10. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
11. სხვა (მიუთითეთ) _____

D6. უმაღლესი განათლების საფეხური:

1. ბაკალავრიატი
2. მაგისტრატურა
3. რეზიდენტურა
4. დოქტურანტურა

D7. მიმართულება

1. ჰუმანიტარული, განათლება
2. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

3. ზუსტი და საბუნებისმეტყველო

4. იურიდიული

5. ტექნიკური

6. მედიცინა

7. ეკონომიური, ბიზნესი, მართვა

8. სამხატვრო, თეატრალური, კონსერვატორია

9. აგრარული

10. სხვა (მიუთითეთ) _____

D8. რელიგიური აღმსარებლობა:

1. მართმადიდებელი
2. მუსლიმი
3. სომხური სამოციქულო ეკლესია
4. სხვა *(მიუთითეთ)* ----------

88. არცერთი

D9. ეთნიკური კუთვნილება:

1. ქართველი
2. აზერბაიჯანელი
3. სომეხი
4. სხვა *(მიუთითეთ)* ----------

D10. როგორია თქვენი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა?

1. ძალაინ დაბალი: შემოსავალი კვებაზეც არ გვყოფნის
2. დაბალი: შემოსავალი კვებაზე და ჩასაცმელზე ძვლივს გვყოფნის
3. საშუალო: ოჯახის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვახერხებთ
4. მაღალი: შეგვიძლია გართობის და დასვენების ხარჯები გავწიოთ

5. ძალიან მაღალი

D11. ვისთან ერთად ცხოვრობთ?

1. ოჯახთან ერთად
2. ნათესავებთან ერთად
3. მეგობრებთან ერთად
4. მარტო
5. პარტნიორთან ერთად

Q1. თქვენი აზრით, ძირითადად რის საფუძველზე იქმნება ოჯახები საქართველოში? ***(შესაძლოა მაქსიმუმ სამი პასუხი)***

1. თუ წყვილს ერთმანეთი უყვართ
2. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით
3. თუ წყვილის ღირებულებები და ინტერესები ერთმანეთს შეესაბამება
4. თუ წყვილს სურს ყავდეს შვილი და იზრუნოს მასზე
5. თუ წყვილს აქვს ჰარმონიული სექსუალური ურთიერთობა
6. თუ ქორწინებამდელი სექსუალური ურთიერთობის დროს ქალი დაფეხმძიმდა
7. თუ წყვილი აცნობიერებს, თუ რა პასუხისმგებლობა არის ოჯახი და სურს ამ პასუხისმგებლობის ერთმანეთთან გაზიარება
8. თუ წყვილს სურს სექსუალური ურთიერთობა

სხვა *(მიუთითეთ)* _____

Q2. რომელია ქორწინებისთვის სასურველი ასაკი ქალისათვის და ვაჟისათვის? ***(თითოეულ სვეტში ერთი პასუხი)***

ასაკი	1. ქალისათვის	2. ვაჟისათვის
15–18 წელი	1	1
19–22 წელი	2	2

23-26 წელი	3	3
27-30 წელი	4	4
31-34 წელი	5	5
35 და ზემოთ	6	6
ქორწინებისას ასაკს მნიშვნელობა არ აქვს	88	88

Q3. რა ასაკში მიგაჩნიათ მიზანშეწონილად ქალმა და მამაკაცმა დაიწყოს სექსუალური ურთიერთობა? *(თითოეულ სვეტში ერთი პასუხი)*

ასაკი	1. ქალისათვის	2. ვაჟისათვის
15–18 წელი	1	1
19–22 წელი	2	2
23-26 წელი	3	3
27-30 წელი	4	4
31-34 წელი	5	5
35 და ზემოთ	6	6
სექსუალური ურთიერთობის დაწყება ქორწინების გარეშე ყველა ასაკში მიუღებელია	88	88

Q4. თქვენი აზრით, ქალისათვის და მამაკაცისათვის რა ასაკშია ქორწინება ადრეული? *(თითოეულ სვეტში ერთი პასუხი)*

ასაკი	1. ქალისათვის	2. ვაჟისათვის
15 წლამდე	1	1
18 წლამდე	2	2
21 წლამდე	3	3
25 წლამდე	4	4

30 წლამდე	5	5
35 წლამდე	6	6
ქორწინება არასდროს არ არის ადრეული	88	88

Q5. თქვენი აზრით, როდის არის ქალი ოჯახის შესაქმნელად მზად? ***<u>(შესაძლოა მხოლოდ სამი პასუხი)</u>***

1. როდესაც ქალის ორგანიზმი ბიოლოგიურად მომწიფდება
2. როდესაც ქალი იპოვნის ჭეშმარიტ სიყვარულს
3. როდესაც ქალი დაასრულებს საშუალო განათლებას ან პროფესიულ განათლებას
4. როდესაც ქალი დაასრულებს უმაღლეს განათლებას
5. როდესაც ქალს ექნება სტაბილური შემოსავალი
6. როდესაც ქალს ექნება ეკონომიკური საშუალება იცხოვროს მშობლებისაგან დამოუკიდებლად
7. როდესაც ქალს ექნება საოჯახო საქმეებზე ზრუნვის სურვილი/ნება
8. როდესაც ქალს ექნება შვილის აღზრდის სურვილი/ნება
9. როდესაც ქალი ფსიქოლოგიურად მზად იქნება და გააცნობიერებს ოჯახის პასუხისმგებლობას
10. როდესაც ქალს ექნება მიზიდულობა მამაკაცის მიმართ
11. როდესაც ქალს ჰარმონიული სექსუალური ურთიერთობა აქვს პარტნიორთან

სხვა *(მიუთითეთ)* _____

Q6. თქვენი აზრით, როდის არის მამაკაცი ოჯახის შესაქმნელად მზად? ***<u>(შესაძლოა მხოლოდ სამი პასუხი)</u>***

1. როდესაც მამაკაცის ორგანიზმი ბიოლოგიურად მომწიფდება
2. როდესაც მამაკაცი იპოვნის ჭეშმარიტ სიყვარულს
3. როდესაც მამაკაცი დაასრულებს საშუალო განათლებას ან პროფესიულ განათლებას
4. როდესაც მამაკაცი დაასრულებს უმაღლეს განათლებას

5. როდესაც მამაკაცს ექნება სტაბილური შემოსავალი
6. როდესაც მამაკაცს ექნება ეკონომიკური საშუალება იცხოვროს მშობლებისაგან დამოუკიდებლად
7. როდესაც მამაკაცს ექნება საოჯახო საქმეებზე ზრუნვის სურვილი/ნება
8. როდესაც მამაკაცს ექნება შვილის აღზრდის სურვილი/ნება
9. როდესაც მამაკაცი ფსიქოლოგიურად მზად არის და აცნობიერებს ოჯახის პასუხისმგებლობას
10. როდესაც მამაკაცს აქვს მიზიდულობა ქალის მიმართ
11. როდესაც მამაკაცს აქვს ჰარმონიული სექსუალური ურთიერთობა ქალთან

სხვა *(მიუთითეთ)* _____

Q7. ქართულ საზოგადოებაში რა არის გოგონების ადრეული ქორწინების მიზეზი? ***(შესაძლოა მაქსიმუმ სამი პასუხი)***

1. სექსუალური ურთიერთობის დაწყების სურვილი
2. ფეხმძიმობა
3. რელიგიური აღმსარებლობა
4. მშობლების კონტროლისაგან გაქცევის სურვილი
5. მშობლების მხრიდან ზეწოლა
6. კარიერის და განათლების მიმართ ნაკლები ინტერესი
7. მეუღლის მაღალი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა
8. ჭეშმარიტი სიყვარულის პოვნა
9. ადრეულ ასაკში ოჯახის მნიშვნელობისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერება

სხვა *(მიუთითეთ)* _____

Q8. თქვენი აზრით, ქართულ საზოგადოებაში რა არის ვაჟების ადრეული ქორწინების მიზეზი? ***(შესაძლოა მაქსიმუმ სამი პასუხი)***

1. ქალიშვილობის ინსტიტუტის არსებობა
2. გოგონასთან ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობა
3. პარტნიორის ფეხმძიმობა
4. რელიგიური აღმსარებლობა
5. მშობლების კონტროლისაგან გაქცევის სურვილი
6. მშობლების მხრიდან ზეწოლა
7. მეუღლის მაღალი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა
8. კარიერის და განათლების მიმართ ნაკლები ინტერესი
9. ჭეშმარიტი სიყვარულის პოვნა
10. ადრეულ ასაკში ოჯახის მნიშვნელობისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერება

    სხვა *(მიუთითეთ)* _____

Q9. თქვენი აზრით, რამდენად მდგრადია ადრეული *ქორწინება? (მონიშნეთ შესაბამისი ციფრი)*

5	4	3	2	1
ძალიან მდგრადია				საერთოდ არ არის მდგრადი

Q10. ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული ასპექტი რამდენად განაპირობებს ოჯახების დაშლას/ განქორწინებას? *<u>(თითოეულ სტრიქონში ერთი პასუხი)</u>*

		განაპირობებს	ეფექტურ განაპირობებს	ეფექტურ არ ახდენს გავლენას	არ ახდენს გავლენას
1.	წყვილის გარიგებით ქორწინება	4	3	2	1
2.	წყვილის ადრეული ქორწინება	4	3	2	1

		განპირობებს	უფრო განპირობებს	უფრო არ ახდენს გავლენას	არ ახდენს გავლენას
3.	ოჯახის ეკონომიკური პრობლემები	4	3	2	1
4.	დიდ ოჯახად ცხოვრება (დედამთილ-მამამთილთან, სიდედრ-სიმამრთან)	4	3	2	1
5.	შვილის არყოლა	4	3	2	1
6.	მამაკაცის მხრიდან ღალატი	4	3	2	1
7.	ქალის მხრიდან ღალატი	4	3	2	1
8.	წყვილის მიერ პასუხისმგებლობის გაუცნობიერებლობა	4	3	2	1
9.	წყვილებს შორის ასაკობრივი განსხვავება	4	3	2	1
10.	წყვილს შორის სექსუალური შეუთავსებლობა	4	3	2	1
11.	წყვილები უფრო იოლად იღებენ გადაწყვეტილებას განქორწინებაზე, რადგან საზოგადოებაში მისაღები გახდა	4	3	2	1
12.	ქალის და მამაკაცის მიერ ვალდებულებების არათანაბრად გადანაწილება	4	3	2	1

Q11. თქვენი აზრით, ახდენს ადრეული ქორწინება გოგონების ჯანმრთელობაზე გავლენას?

1. დიახ, ახდენს გავლენას
2. არა, არ ახდენს გავლენას
3. არ ვიცი
4. მიჭირს პასუხის გაცემა

Q12. თქვენი აზრით, მოზარდთა ორსულობის დროს

		მაღალია	საშუალოა	დაბალია	არ ვიცი	მიჭირს პასუხის გაცემა
1.	ორსულობისა და მშობიარობის გართულებები	5	4	3	2	1
2.	სამშობიარო ტრავმა და ინფიცირების რისკი	5	4	3	2	1
3.	ნაადრევი მშობიარობის საშიშროება	5	4	3	2	1
4.	მოზარდთა არასწორად კვების რისკი	5	4	3	2	1
5.	ანემიის (ორგანიზმში რკინის დეფიციტი) შემთხვევა	5	4	3	2	1
6.	მოზარდთა სიკვდილიანობა საფრთხე	5	4	3	2	1

Q13. ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: "მოზარდ გოგონებს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ნაკლები ინფორმაცია აქვთ"

1. სრულიად ვეთანხმები
2. უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები
3. უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები
4. სრულიად არ ვეთანხმები
5. მიჭირს პასუხის გაცემა

Q14. ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: "მოზარდი გოგონების უმეტესობა გინეკოლოგთან ქორწინების შემდგომ მიდის"

1. სრულიად ვეთანხმები
2. უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები
3. უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები
4. სრულიად არ ვეთანხმები
5. მიჭირს პასუხის გაცემა

Q15. "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" მიხედვით

1. შესაძლებელია 16 წლის პირთა ქორწინება მშობლის ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით
2. შესაძლებელია 17 წლის პირთა ქორწინება სასამართლოს გადაწყვეტილებით
3. 18 წლამდე პირთა ქორწინება აკრძალულია
4. არ ვიცი
5. მიჭირს პასუხის გაცემა